



La Géorgie
 Indépendante
 Revue mensuelle
 JUIN
 1929—№ 42

ი ვ ნ ი ს ო
 1929 წ.
 № 42

დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—სტალინი.
 აჭარის ამბები.
 კარლო ჩხეიძის ხსოვნას.
 კავკასია და ამერიკის შეერთებული შტატები.
 საქართველო და პოლონეთი.
 გაუი—გადაჭარბებული იმედი.

კ.—არჩევნები ინგლისში.
 ძველი აჭარელი—აჯანყება აჭარაში.
 კახაბერი—26 მაისის დღესასწაული ვარშავაში.
 11 წლის თავი საქარ. რესპ. დამოუკ. გამოც.
 იტალიური გაზეთი საქართველოს შესახებ.
 ა.—კამათი საქართველოს შესახებ. და სხვ.

ს ტ ა ლ ი ნ ი

ინგლისის ცნობილ პუბლიცისტ უიკჰამ სტიდის ჟურნალში (Review of Reviews) მოთავსებულია წერილი სათაურით: «სტალინი-ჯულაშვილი, კაცი საიდუმლოებით მოცული». ავტორი, ვინმე ლიი ასწერს სტალინის წარსულს და აწმყოს, ახასიათებს მას, როგორც ტლანქს, ფანატიკოს, ბრმა ტაქტიკოსს, მდარე მწერალს და ორატორს, გულჩახვეულს, უმეგობროს და თან, როგორც გულადს, გაბედულს, უანგაროს,—და ასკვნის, სტალინის ტიპის ხალხი ჩვეულებრივ ტრადიკულათ ათავებენო.

ჩვენთვის არ ახალია ეს «ტიპი», შეგვეძლო ბევრი რამის დამატება ჩვენი «სასიქადლო მამული-შვილის» უფრო დასრულებულათ წარმოსადგენათ, მაგრამ ეს არ შედის ჩვენს თემაში და გვინდა მხოლოდ აღენიშნოთ, რომ სტალინის პიროვნება ამ უკანასკნელათ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყველგან. გამოდის, ამ რიგათ, რომ ის ისტორიულ პიროვნებად იქცა და ამას ძალაუვნებურათ უნდა შეურიგდენ მისი მტრებიც.

მართლაც, ექვსი წელიწადია, რაც, ლენინის სიკვდილის შემდეგ, სტალინი გზას იკაფავს საკუთარი დიქტატურისაკენ და ბოლოს კიდევ აღწევს მას. მან სასტიკათ დაამარცხა ხშირათ მასზე უფრო დაჯილდოებულნი ნიჰითი და ცოდნით მეტოქენი. საკმარისია ამისათვის დავასახელოთ ზინოვიევი, კამენევი, ტროცკი, რადეკი, რაკოვსკი, რომ სხვა მეტი მტკიცება არ დაგვიჩრდეს. უკანასკნელათ მან კიდევ მოხსნა «ყველა პოსტებიდან» ბუხარინი და ტომსკი, და თვით რიკოვის ბედიც ბეწვზე ჰკიდია.

დარჩა, მაშასადამე, მარტო სტალინი, ლენინის ახლო თანამშრომლებიდან, დასაწყისში ყველაზე უმცროსი და უჩინარი, ხოლო დღეს ერთად ერთი მბრძანებელი ხმელეთის მეექვსედის!

ჩვენ გვახსოვს ბოლშევიკების პირველი ცდა ხელისუფლების დასაპყრობათ და ამისათვის მასების ქუჩაზედ გამოყვანა, ივლის 1917 წ. რა იყო მაშინ მათი ლოზუნგები? ზავი ხალხს, მიწა გლეხს, დამფუძნებელი კრების დაჩქარება. შემდეგ, კორნილოვის გამოსვლის დროს, მათ დასძინეს: მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო, და გაიმარჯვეს.

დამფუძნებელი კრების შეყრას ბოლშევიკებმა მართლა არ შეუშალეს ხელი, მაგრამ იმავე დღესვე გარევეს. სამარცხვინო ზავს ხელი მოაწერეს და აუშვეს ახერონი (მითითური მდინარე ჯოჯოხეთში) სოფლად, რომელიც გამოიხატა მემამულეთა მოსრავი და მათი მიწების გლეხებზე გადასვლაში. ხოლო რაც შეეხება საბჭოების მთელ ძალა-უფლებას, ეს ლოზუნგი იმ თავითვე მარტოდენ მის ავტორთა სიყალბეს და სიფილდეს შეიცავდა, რადგან საბჭოებს არც დასაწყისში, არც მერმე ჰქონებია რაიმე თვალსაჩინო გავლენა ქვეყნის მართვა-გამგეობაზე.

მაშასადამე, ერთად ერთ ბატონად და პატრონად პარტია გამოაცხადეს და მას «კომუნისტური» დაარქვეს. თუ პიროვნებაზე შეიძლებოდა მაშინ ლაპარაკი, ეს იყო მხოლოდ ლენინი და ის კი ცდილობდა თავის აზრების და გეგმების პარტიის ყრილობებზედ და ცეკაში გატარებას. როცა ლენინი მოკვდა, ერთ ხანს ლაპარაკობდენ «სამეფულზე» ცეკაში (ზინოვიევი-კამენევი-ტროცკი), მაგრამ ის ჩქარა შესცვალა პოლიტიკურთმ, რომელიც, გეპეუსთან ერთად, ყველაზე ცნობილი გახდა უცხოეთშიც.

ჩვენ არ გვჭირია იმის აღწერა, როგორ ერთი მერზე განდევნა ყოფილნი ბუმბერაზნი პოლიტიკუროდან მისმა მთავარმა მდივანმა სტალინმა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ უკანასკნელნი მსხვერპლნი: ბუხარინი და ტომსკი, მიუხედავათ «ყველა პოსტე-

ბიდან» მოხსნისა, ისევე პოლიტიკურში რჩებიან წევრებად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ პოლიტიკურ-რომაც დაჰკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და ყველაფერი მის გარეთ წყდება სტალინის მიერ. უკანასკნელს ჰყავს, თქმა არ უნდა, თავისი ვეზირ-ნაზირნი: მლოტოვი, კაგანოვიჩი და მაგვარნი, რომელთა როლი ბალი-აღას ძახილია.

სტალინის ძალა იმაშია, რომ მან შესძლო პარტიის აპარატის ხელში ჩაქერა, და ესლა მას არ აზიანებს ყრილობები და პლენუმები, სადაც, სულ ერთია, რამდენიც არ უნდა აკრიტიკოთ მისი მოქმედება; დიდი უმრავლესობა, შიშით—მთელი შემადგენლობა დელეგატებისა, მას აძლევს ხმას. საინტერესოა, უკანასკნელ ყრილობა-პლენუმზედ სტალინს თითქმის არ ულაპარაკნია, ხოლო დადგენილებები მის მიერ იყო ნაკარნახევი. ის მართლა «საიდუმლოებით მოცულ» პირველებად ხდება.

სტალინის დიქტატურა ვრცელდება სახელმწიფო ორგანოებზე, ისე როგორც პარტიულზე. ერთი ხანი ფეხს იკიდებდა ილიუზია. ვითომ პოლიტიკურს და მთავრობის ვერ. წოდ. მეტოქეობიდან რამე კარგი გამოდნებოდა ხალხისათვის, მაგრამ სტალინმა ერთის დაკვრით გააქარწყლა იგი. ის არ დასჯერდა, რომ უკანასკნელი მისი «მეტოქე» რიკოვი, მარჯვნივ გადახვრისთვის, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს; მან ცინიკურათ აიძულა ის გამოსულიყო მომხსენებლად და აქედან დამცველად მისთვის მიუღებელ ხუთწლიან პლანისა! ამიტომ არ გვიკვირს. რომ მხდალი და უბადრუკი რიკოვი დატოვებულ იქნა კავშირის მთავრობის თავმჯდომარედ.

ამ რიგათ, საბჭოთა კავშირმა განვლო ორი ტიპის დიქტატურა: კოლექტიური (პარტია), კოლევიალური (პოლიტიკური), და ესლა მესამე და უკანასკნელი ეტაპზე გადავიდა: ერთი პირის დიქტატურა (სტალინი). ეგონათ, მესამე ტიპი ბონაპარტს დაბადებდა და მის მაგიერ კი სტალინი გამოაჩნუნა! სარდალის მაგიერ პროფესიული რევოლუციონერი, მხედარის მაგიერ ცივილი.

მართალია, საფრანგეთის რევოლუციამაც შვა ასეთი დიქტატორი რამბესპიერის სახით. მაგრამ ის თვითონვე გახდა თავის ტერორის მსხვერპლი, ტერორშიღორის დღეებში. მოელის თუ არა ეს ხვედრი სტალინსაც? ან კიდევ, იკისრებს თუ არა ის ბონიპარტის ისტორიულ მისსიას?

რაში მდგომარეობდა ეს მისსია? იმაში, რომ ტერორისა და ათასგვარ თვითნებობისგან განაწამებ ხალხს ბონაპარტმა დაუმყარა წესრიგი და შეუქმნა ნორმალური პირობები მშვიდობიანი შრომისათვის; მანვე გამოსცა ცნობილი დიდი კოდექსი, რომლითაც დააკანონა ხალხის მიერ მოპოებული უფლებები ეკონომიურ და მოქალაქობრივ სფეროში. და მით მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ახალ ბურჟუაზიულ წყობილებას.

პირველი შეხედვით, თითქო სტალინსაც შეეძლო იგივე ექნა. რუსის ემიგრაციის ერთი ნაწილი ჩასჩინებს მას: დაეშვი ნელნელა ტორმახით დემოკრატიისაკენ; მაგრამ ჩვენ ამ უტოპიაზე როდი ვლავა-

რაკობთ, არამედ ეკონომიურ დათმობებზე, ხოლო პოლიტიკურათ მას შეეძლო, როგორც ბონ-პარტს, კიდევ ენატონა ერთ ხანს. უცხოეთში კიდევ კვლიათ ზოგიერთებს, რომ სტალინი სწორეთ ასე მოიქცევა და იმედს მის «ზიგ-ზაგზედ» ამყარებენ: დამარცხა მემარცხენენი და მათივე პროგრამა გაატარა: ესლა მემარჯვენენი დამარცხა, მამ ჯერი მათ პროგრამაზე მიდგა.

ფუჭი იმედია! სტალინს სხვაგვარ ესმის თავისი მისსია, ესაა «ოქტომბრის მონაპოვართა» დაკანონება, ე. ი. სოციალისტურ წყობილების განხორციელება. ამ მიზანს ემსახურება ესლახან დაკანონებული ხუთწლიანი პლანიც, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ინდივიდუალურ მეურნეობას სოფლად.

ამოცანა ათჯერ უფრო ძნელი. ვინემ ბონაპარტმა დაისახა, ხოლო ამსრულებელი ასჯერ უფრო ბრიყვი! მართლაც, ბონაპარტი დროზე მიხვდა, რომ, თუ დასავენებდა დაქანცულ ხალხს, ის ზურგს შეაქცევდა პოლიტიკურ ბრძოლას და არ შეეცილებოდა მის ბატონობას. რას შვრება სტალინი? ის სამკვიდრ-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ხალხს! ის მიმართავს სისტემატიურ პროვოკაციას, ეგრ. წოდ. «კლასთა ბრძოლის გამწვავებას» გლეხთა შორის; სოფლებების და კოლხელების ხელოვნურათ გამრავლებით ის ცდილობს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას.

ნუთუ არ ესმის სტალინს, რომ ასეთი ძალათმაცხონობა კისერს მოუგერებს მას? გაიხსენეთ გლეხობის საბოტაჟი, რომელიც უფრო და უფრო მკაცრ ხასიათს იღებს, კომუნისტთა სისტემატიური ხოცვა: შემდეგ სანოვავის სიმკირე. ადგილ-ადგილ ნამდვილი შიმშილი, ჩერვონეცის დაცემა, უმუშევრობა... როგორი ცუდი აზრისაც არ ვიყოთ სტალინზე, არ გვგონია, ის არ ხედავდეს, როგორ ნელნელა, მაგრამ შეუმცდარათ უახლოვდება უფსკრულს.

მამ რაშია საქმე? იმაში, რომ მას უკვე არ ძალუძს კეხის მობრუნება. არ არის გამორიცხული, რომ ის კიდევ გააკეთებს «ზიგ-ზაგს», მაგრამ ამას არ ექნება პრინციპიალური ხასიათი. პოლიტიკა არსებითათ იგივე დარჩება, ხალხის წინამდევ მიმართული. ლიი ამბობს, სტალინი მეგობრებს მოკლებულია, ჩვენ ვიტყვოდით, ის ეჯავრებათ კიდევ და ნეტარებით აკუწავდენ, მაგრამ... მაინც მხარს უჭერენ! რატომ? იმიტომ რომ. თუ ის დამარცხდა, უადგილოთ დარჩებიან ათასი და ათათასები, ვინც დღეს კალიასავით მოედებიან საბჭოთა დაწესებულებებს; მრუწველობას, აღებმიცემობას, კოოპერაციას, მთელს სახელმწიფო მეურნეობას, და ღრნიან ასორმოცდაათ მილიონი ხალხის სარჩო-საბადებელს. ხომ ხშირათ გვესმის «იქიდან», რომ საბჭოთა მოქალაქის ერთადერთი საზრუნავი გამოკვება და ჩაცმა-დახურვა გახდა; რაც შეეხება საბჭოთა ურიც'ვ მსახურთ. ისინი დახლვეული აზიან ასეთ გაკვირებისაგან. გამოყოფილია მათგან მთელი კასტა მკანარეთა, იერაქითით მალა მდგომნი—ახალი არისტოკრატია. განა დასაშვებია, რომ მათ ნებით დასთმონ ადგილი, მდგომარეობა, პატივი? არასოდეს. პირიქით. სტალინს სწორეთ მაშინ მოელის, და გაცილებით უფრო აღ-



რეც, «გახურებული შანი», თუ მან გადაუხვია «სოციალისტურ» გზიდას.

ამ ორ ცეცხლ შუა სტალინი ირჩევს ისეთს, რომელიც უფრო დაშორებულათ ეჩვენება მას. წყარო იგივე მრავალტანჯული რუსის ხალხია. «ნიჩევო» — აი, რაზედ ემყარება ის ბოლოს და ბოლოს! რუსის ხალხი ამტანია, თუ რომანოვების თვითმყრობელობა სამასი წელი ზიდა მან, რატომ ჩემი ბატონობა არ უნდა ზიდოს თუ გინდ სამი წელიო, ეზმანება მას და... მეორე გვერდზედ ბრუნდება ტკბილ სიზმარში გახვეული დიქტატორი.

სტალინს არ დაუფერეს, როცა მან განაცხადა «სამსახურიდან გასვლა»; არც იყო დასაჯერებელი. ხელისუფლება ტკბილია, როგორც სიცოცხლე, ერთი დღე მეტი, ერთი დღე ნაკლები გადამწყვეტია. რატომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სტალინი გამოუნაკლისია საერთო წესიდან? მით უფრო, ის არაა დაჯილდოებული არც უკუთ, არც დიდი გამჭრიახობით.

ლინი ასკენის, სტალინი ტრადიკულათ გაათავებულს. ვინ იცის. იქნება კომიკურათ გაათავოს, რუსეთმა ამის ბევრი მაგალითი მოგვცა. გავიხსენოთ, სხვა ბოლშევიკურმა ლიდერებმა როგორ გაათავეს. დიდი ხნის ცდა არ დაგვირდება. დავინახვთ.

აჭარის ამბები

ჩვენ ვბეჭდავთ ქვემოთ აჭარიდან მიღებულ ცნობებს ამას წინად მომხდარ აჯანყების შესახებ. ეს ერთი ახალი ფურცელია იმ საშინელი, აუწერელი მდგომარეობისა, რომელშიაც მეცხრე წელიწადია იმყოფება მთელი საქართველო და მასთან აჭარა. ქონებრივ შევიწროებას, სრულს უუფლებობას, თავისუფლებას და სინდისის დევნას, ყოველი ღირსების ფეხით გათელვას, აღვირაშვებულ ძალმომრეობას სახლვარი არ უჩანს. პირიქით, მდგომარეობა დღით დღე უარესდება, ბოლშევიკები უფრო და უფრო გამწარებულნი და დაუნდობელნი ხდებიან, აღარაფერს ერიდებიან. ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნონ, თავისი უკანასკნელი უკამი, რაც შეიძლება, გაახაგრძლივონ. ხალხი გონიერის სიფრთხილით და მოთმინებით იტანს ამდენს გაჭირვებას და სიმწარეს, რადგან შეგნებული აქვს, ხედავს, გრძნობს, რომ მოძალადეთა აღსასრული მოახლოვებულია, მათი საქმე საბოლოოთ განწირულია და უნდა იკმაროს მსხვერპლი, გულში ჩაიკლას მოზღვაებული სიბრაზე და სიძულვილი. თავი შეიკავოს... მაგრამ ეს გამობრძმედელი სიფხიზე და მოთმინებაც გასკდება ხალხმე ხანდა ხან; იმდენად გამწვავებულია ხალხისა და ბოლშევიკური ხელისუფლების ურთიერთობა, იმდენად მძიმეა ცხოვრება და ესოდენ პროვოკაციულია დღევანდელ ბატონების ყოველი მოქმედება, რომ ხალხის გულისწყრება და აღშფოთება ძალაუვნებურად, სტიქიურად იფეთქებს ხალხმე ხან იქ, ხან აქ—საქართველოს ერთ კუთხეში, თუ მეორეში.

მოსკოვის ყურმღკრილ მონებს—ქართველი კომუნისტებს» რომ ოდნავი ეროვნული შეგნების ნასახი

ქქონდათ ან რაიმე პოლიტიკური უნარი, საფიქრბელი იყო, რომ ისინი ცოტაოდენის მორიდებით მანც მოეპყრობოდნენ ქართველი ერის მუსულმანურ ნაწილს, რომელსაც საქართველოს ისტორიის ტრადედია ყვალაზედ მეტად დაატყდა თავს. მაგრამ სად გონიერება და ეროვნება და სად ბოლშევიზმი? ბოლშევიკებს მოღვაწეობა ყველგან წინააღმდეგია. ხალხის, გონების, ეროვნული შეგნების და აჭარაში მათის მეოხებით მოხდა, რაც სდება დანარჩენ საქათველოში; განმეორდა ძველი—არაშორეული ამბები—აჭარლები დღესაც იძულებულნი არიან დასტოვონ თავისი კერა და გარდაიხვეწონ უცხო მხარეს, როგორც იძულებულნი იყვნენ რუსის მეფეების დროს!

ეუძღვნით ჩვენს ძმებს, მაჰმადიან ქართველებს მთელს ჩვენს თანაგრძნობას და ვურჩევთ მათ თავის შეკავებას, გამაგრებას. გვეჭირია თავის შენახვა, ძალების დაგროვება. დარაზმვა — მოახლოვებულია მტრის დაღუპვის საათი, მისი საყოველთაო განკითხვის დღე, და ამ დღეს უნდა დავხვედეთ სრულის მომზადებით და მათელის ჩვენის ძალებით, რომ სამუდამოდ განვითავისუფლოთ და აღვადგინოთ საქართველო და მასთან აჭარა, სამუსულმანო საქართველოც.

კარლო ჩხეიძის ხსოვნას

კვირას 16 ივნისს პარიზის ქართველობა ერთხელ კიდევ შეიკრიბა «პერლაშეხე» თავის დაუფიწყარ მოამაგის კარლო ჩხეიძის საფლავის წინ, მისი ტრადიკულათ გარდაცვლის სამი წლის თავზე. რ. არსენიძემ თავისი გრძნობიერი სიტყვა იმით დაიწყო, რომ ჩვენ ჩვეულებად გადაგვექცა ყოველ წელს აქ მოსვლა და ეს კარგი ჩვეულება არისო. დამსწრეთ გულში მოგვხდა ეს უბრალო სიტყვები, სხვაგვარ ვერც კი წარმოგვიდგენია: დიახ, მივიღვართ ყოველ წელს, ვამკობთ მის საფლავს ყვავილებით, მოვიკითხავთ, განიცდით მის და ჩვენს ტრადედიას. კარლო მოღვაწე, კარლო პიროვნება თითქო ერთი მეორეს არ ეგუებო. როგორ შეეძლო ასეთ დიდ მოღვაწეს ასე გაეთვებია? როგორ შეეძლო ასეთ თავდაბალ პიროვნებას ასეთი მოღვაწე გამხდარიყო? ვსდგევართ და ამაოთ ვეკითხებით მას. ის სდუმს, და ჩვენც ვსდუმვართ, თვითეული თავის ფიქრებში ჩამწვდარი, უძრავი, თითქო მიჭედილი ადგილზედ. ეს არის ადამიანის უსუფთავესი განცდა, დავიწყება ყოველ-ღლიურის, წვირილმანის, ხორციელის... აი, რით გვიმასპინძლდება კარლო, როგორ გვამაძლებს სულით, როცა მასთან მივდივართ. ჩვენ ვგინდა, და ეს კარლოს ნატვრაცაა, რომ მთელმა ქართველმა ერმა განიცადოს იგივე მის საფლავის წინ. ორატორი აქაც მიუხვდა ჩვენი გულისხნადებს და სიტყვა მისცა მას ჩვენ მაგიერ, გმირი ერის სახელით, რომ ის ჩქარა ჩაეკერის გულში თავისუფალ სამშობლოს.



კავკასია და ამერიკის შეერთებული შტატები

ორი წელიწადია მას აქეთ, რაც შეერთებულ შტატების სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში ორჯელ წაითხულ და საგარეო კომისიებისთვის გადაცემულ იქნა მზგავსი ქვემოთ მოყვანილ კანონპროექტისა, მაგრამ მაშინ ის ეხებოდა მარტო საქართველოს, ხოლო დღეს, როგორც მკითხველი დაინახავს, ეხება აგრეთვე აზერბაიჯანს და მთას. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საქართველოს შესახებ პალატის კომისიის უკვე ჰქონდა მსჯელობა შარშან წინ და გამოსცა სახელმწიფო ხარჯზე ოქმები და ბევრი სხვა მასალა. თუ იგივე განმეორდა კავკასიის სამ რესპუბლიკათა მიმართ, ესლა უკვე სენატის კომისიის მიერ.—დიდი საქმე იქნება.

«მე-71 კონგრესი, 1-ლი სესია. ს. 453.

შეერთებულ შტატების სენატში,
23 აპრილი 1929.

ბ-ნ კოპელანდმა შემოიტანა შემდეგი კანონპროექტი, რომელიც ორჯერ იყო წაითხული და გადაეცა საგარეო საქმეთა კომისიას.

კ ა ნ ო ნ - პ რ ო ე კ ტ ი

შესახებ თანხის გაღების დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის კავკასიის რესპუბლიკებში: საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის.

ვინაიდან საქართველოს სამეფოს, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, დაუცავს თავისი დამოუკიდებელი არსებობა, თავისი ეროვნები, ენა, დაწესებულებანი და კანონები, წინამდებ თითქმის განუწყვეტელი თავდასხმისა და ხშირი შემოსევისა, რომლის მსხვერპლი ის ყოფილა; და მისი ტერიტორია იყო და არის, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, დასახლებული ქრისტიანე ხალხით;

ვინაიდან ამ სამეფოს მოჰყვა საქართველოს ეროვნული რესპუბლიკა, რომელიც წესისამებრ და თავისუფლად დაარსდა, მისივე დაწერილი კონსტიტუციით, 26 მაისს 1918 წ.;

ვინაიდან არსებობა ამ რესპუბლიკისა საყოველთაოთ იყო ცნობილი ყველა სახელმწიფოთა მიერ, გარდა შეერთებული შტატებისა;

ვინაიდან, მიუხედავად ასეთივე ცნობისა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წ., ეს მთავრობა შემდეგ შემოიჭრა და ესლა განაგებს რესპუბლიკის ტერიტორიას, ხოლო მთავრობა ამ რესპუბლიკისა იძულებული გახდა გადაეტანა თავისი მოღვაწეობა თბილისიდან, შემდეგ ბათუმიდან, საფრანგეთში, სადაც მისი ოფიციალური წარმომადგენელი ესლაც განაგრძობენ თავიანთ მუშაობას;

ვინაიდან ასეთივე საშინელი პირობანი ბატონობენ აგრეთვე აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებში;

ვინაიდან კონგრესის აზრია, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ უნდა დაჰკმოს რუსეთის მთავრობის ეს გაუმართლებელი მოქმედება და გამოუცხადოს თავისი სიმპატია ამ რესპუბლიკათა ხალხს, ამიტომ საჭიროა:

დადგენილ იქმნას ამერიკის შეერთებულ შტატების სენატისა და წარმომადგენელთა პალატის მიერ, მათ საკონგრესო ყრილობაზე, რომ კანონით გაღებულ იქნას თანხა იმ ხარჯის დასაფარავათ, რომელიც გამოწვეული იქნება დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნით კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებში — საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში, მაშინ, როცა პრეზიდენტი ასეთ დანიშვნას საჭიროთ დაინახავს.

საქართველო და პოლონეთი


ჰავასის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის წარმომადგენელმა ვარშავაში საგარეო საქმეთა მინისტრს პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს იმ დღესასწაულში, რომელიც ვარშავის ქართველებმა გამართეს 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის აღსანიშნავად.

პოლონეთის მინისტრმა უპასუხა რუსეთის რწმუნებულს, რომ მისი პროტესტი შეუწყნარებელია, ვინაიდან ის ნიშნავს საბჭოების ჩარევას პოლონეთის შინაურ საქმეებში.

პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთა დასწრება საქართველოს ეროვნულ დღესასწაულზე ვარშავაში და მოსკოვულ მოძალადეთა და ოკუპანტთა პროტესტის უკუგდება ჭეშმარიტად კეთილშობი-

ლი და ლამაზი აქტია პოლონეთის მხრით. ეს მაჩვენებელია სამართლიანობის გრძობის; რომლითაც გამსჭვალულია პოლონელი ერი, მრავალი ქირის და ძალმომრეობის მნახველი; დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების გამოქმნავება ყვლაზე მეტად იმას შეუძლია, ვინც თვითონ განიცადა ეროვნული დამონება. მეორეს მხრით ამ აქტში ჩვენ ვხედავთ გამოხატულებას იმ მეგობრობისა, რომელიც არა გუშინდელი დღიდან აერთებს პოლონელ და ქართველ ერებს, და რომელიც ღრმა საფუძველზეა აღმოცენებული.

დარწმუნებული ვართ, მთელი ქართველობა დიდის კმაყოფილებით და სიამოვნებით შეხვდება ზემოთ მოყვანილ ცნობას. ქართველმა ერმა იცის არდავიწყება მეგობრების, განსაკუთრებით იმათი, ვინც არ მოაკლეს მას თბილი თანავგრძობა გაჭირვების დროს.



გ ა ლ ა ზ ა რ ბ ე ბ უ ლ ი ი მ ე ლ ი *)

რუსეთის რევოლუცია ისტორიის ჩიხშია მომწყვდეული და იქიდან გამოსავალი ვერ მოუნახავს. სამხედრო კომუნისმი ნეპმა შესცვალა, ნეპი—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის თეორიამ, მაგრამ არც ერთი მათგანი რუსეთის სინამდვილისთვის არ გამოდგა და მართველი პარტია და მასთან ერთათ მთელი საბჭოთა კავშირი ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე სდგას.

ვინ იხსნის მას და სად არის გამოსავალი? რას წარმოადგენენ ის ძალები, რომლებიც რევოლუცია-სა და საბჭოთა კავშირის არსებულ მდგომარეობიდან გამოიყვანენ და როგორი იქნება მომავალი, რომელმაც არსებული უნდა შესცვალოს?

აი კითხვები, რომლებიც გამხდარან დღეს საბჭოთა კავშირის მტრისა და მოყვრის მსჯელობის საგნათ.

რომ საკითხი მწვავეთ სდგას, რომ მდგომარეობა მეტათ რთული და უნუგეშოა, ეს კომპარტიის დღევანდელი ვითარებებიდანაც სჩანს, რომლის ბელადები, ზემო დასახელებული კითხვების გადასაჭრელათ, ერთ ენას ვერ ნახულობენ და ერთ პარტიაში ვეღარ თავსდებიან. მართალია, ბუხარინს ჯერ კიდევ ოფიციალურათ არ განუცხადებია: ერთ ქვეყანაში სოციალიზმი - სოციალიზმის კარიკატურა არისო, მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ ცენზურული პირობებით და არა იმით, რომ ევრეთ წოდებული მემარჯვენე ოპონიცია, ამაში დარწმუნებული არ არის.

მეორეს მხრით არც ბოლშევიკების მოწინააღდეგეთა ბანაკში არსებობს ერთი აზრი და შეხედულება ამავე კითხვების შესახებ. ყოველი პარტია, კლასი და ერი ხატავს საბჭოთა კავშირის ისეთ მომავალს, როგორიც მის პროგრამას შეეფერება და როგორიც მას სურს. ესეც იმას ამტკიცებს, რომ მდგომარეობა მეტათ რთულია და მომავალი წყვილიადით მოცული. და ვინც რუსეთის ისტორიას იცნობს და საბჭოთა კავშირის ახლო წარსულს, იმისთვის აქ არაფერი გასაკვირალი არ არის.

სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ ვერც ერთი პარტია და ვერც ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, როგორც შინაური, ისე უცხოელი, ვერ იძლევა გარკვეულ რეცეპტს. რომლითაც საბჭოთა კავშირის არსებული მდგომარეობიდან გამოყვანა შეიძლებოდეს.

ყოველივე მსჯელობა მასზე—ევოლუცია თუ რევოლუცია, ბონაპარტიზმი თუ დემოკრატია, უმეტეს შემთხვევაში არის ან სურვილი, ან მკითხაობა. რასაკვირელია კრიზისის დანახვა ადვილია, მაგრამ სწორი დიაგნოზის დასმა და მისი რუსეთის სინამ-

დვილუმი გატარება, მეტათ ძნელი. და ეს იმიტომ, რომ რუსეთი არც ევროპა არის და არც ამერიკა, სადაც კლასები ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ მომწიფებული და ჩამოყალიბებული არიან.

რუსეთის ისტორიის უმთავრესს მტკივან ადგილს შეადგენდა და შეადგენს დღესაც ის, რომ მას წოდება და კლასები სუსტი ყავდა და ყავს. რიცხობრივი არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ კლასი, ან წოდება, ეკონომიურათ ძლიერია, კულტურულათ მაღალი, პოლიტიკურათ მომწიფებული და კლასიურათ ჩამოყალიბებული. თუ არითმეტიკულათ მიუდგებით საკითხს, მაშინ რასაკვირელია რუსეთს ყველა წოდება და კლასები ამოაჩდება, მაგრამ თუ მასს ეკონომიური და პოლიტიკური საზომით გავსომავთ, დავინახავთ, რომ იგი ამ მხრით ძლიერ ჩამორჩენილი და სუსტია. ეს უია რუსეთის სახელმწიფოს და რუსეთის რევოლუციათ თავიდანვე დაპყვა. ამით იყო დაავადებული რუსეთის იმპერია და ამავე განუკურნავი სენით არის შეპყრობილი რუსეთის რევოლუცია. ვამბობ განუკურნავი, ვინაიდან რუსეთის სინამდვილუმი კლასების სახელდახელოთ შექმნა და ჩამოყალიბება შეუძლებელია; იგი შორეული მომავლის საქმეა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შედარებით მცირე დაწიანებით გადაურჩება არსებულ კრიზისს.

უმეტეს შემთხვევაში ასე არ სვამენ საკითხს და რუსეთის კლასებსა, მათ მიერ წარმოშობილ ურთიერთობას არითმეტიკული მეთოდით უდგებიან და აფასებენ. არითმეტიკული ანგარიშით კი გამოდის, რომ რუსეთის გლეხობა არის ის მთავარი ძალა, რომელმაც საბჭოთა კავშირი უნდა გაანთავისუფლოს ბოლშევიკების დიქტატურისგან და რუსეთის სახელმწიფოს გემი სამშვიდობო ნაპირზე გაიყვანოს.

ამან წარმოშვა ერთგვარი ილიუზია რუსეთის გლეხობის შესახებ და განვიადებული წარმოდგენა იმ როლზე, რომელიც მან უნდა ითამაშოს რუსეთის რევოლუციაში და სახელმწიფოში. მონარქისტები, ბონაპარტიტები, დემოკრატები და რუსეთის ესერები, მასში ეძებენ სხნას. ყველა მათგანი ფიქრობს, რომ გლეხობა არის ის კლასი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს დაეპატრონება და მოუვლის. კირილე რომანოვი თავის თავს გლეხების მეფეთ აცხადებს, სტრუვე თავის ლიბერალურ კონსერვატიზმს მასზე ამყარებს, მილიუკოვი მასს დემოკრატის ლაშქრათ თვლის, ხოლო ეკერენსკი—მშრომელთა სახელმწიფოს ფუძეთ. ერთი სიტყვით გლეხოფილობა ახასიათებს დღეს რუსული აზროვნების ყველა მიმდინარეობას მცირედის გამოკლებით. ამასვე განიცდის საბჭოთა მწერლობა და კომუნისტების ერთი ნაწილი.

გლეხოფილობის წყარო უნდა ვეძიოთ რუსეთის კლასებშორის არსებულ რიცხვითი ურთიერთობაში. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით გლეხობა (მიწის მეშუა) შეადგენს მთელ მცხოვრებთა 73,6 პროც., პროლეტარიატი—19,4 პროც., ბურჟუაზია—5,7 პროც.

*) რედაქცია ათავსებს ბ. «კაქის» საინტერესო წერილს მეტად დროულ და მნიშვნელოვან საგანზე, თუმცა სახვებით არ ეთანხმება მას გლეხობის როლის შეფასებაში ბოლშევიკურ დიქტატურის ბედის გადაწყვეტ სახალხო მოძრაობაში. უახლოვსს №-ში ჩვენ მოვთავსებთ სხვა წერილებს ამავე საკითხის შესახებ.

დანარჩენი ჯგუფები, ან განადგურებული არიან (მემამულეები), ან ძლიერ მცირე პროცენტს წარმოადგენენ. ამრიგად ართიმეტიკა გლახობას წინა რიგში აყენებს და დანარჩენ კლასებთან შედარებით გარეგნულათ მას ბუმბერაზათ გვაჩვენებს. მაგრამ ეკონომიკა და პოლიტიკა ართიმეტიკაზე მკაცრი არიან და რუსეთის გლახობას რიცხვის შესაფერ როლს არ ანიჭებენ.

დროსა და გარემოების გარეშე აღებული რუსის გლახობა, მართლაც რომ გოლიათურ ძალას წარმოადგენს, მაგრამ თუ მას ჩვენ განვიხილავთ კონკრეტულათ რუსეთის სინამდვილეში, დავრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის.

სახალხო მეურნეობაში გლახობა, როგორც მწარმოებელი და როგორც მომხმარებელი, თვალსაჩინო ფაქტორია, მიუხედავად ამისა, იგი სახ. მეურნეობის ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლს არ ასრულებს. თანამედროვე მეურნეობაში ამ როლს ასრულებს სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალი. იგი აწყობს ორგანიზაციულათ სახ. მეურნეობას და აძლევს მას მიმართულებას. გლახობის ფუნქციას შეადგენს ნედლი მასალის მიწოდება მრეწველობისთვის, ფაბრიკატების მოხმარა და სარეზერვო მუშა ხელის ქალაქისთვის მიწოდება. მას არასოდეს არ შეუძლია დააგროვოს ისეთი დიდი თანხა, რომელსაც შეეძლოს სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის ადგილის დაჭერა. გლახობას შეუძლია მხოლოდ გამოყოს თავისი წრიდან მდიდარი პირები და მით გააძლიეროს კაპიტალისტთა კლასი, მაგრამ როგორც მთელი, ის ვერასოდეს გასწევს კაპიტალისტების მაგიერობას.

გარდა ამისა რუსეთის გლახობა, მრავალი მიზეზების გამო, როგორც ეკონომიური სუბიექტი, ძლიერ დაბალი ღირსების არის. იგი დღემდის ექსტენსიურ მეურნეობას ეწევა და მისი მოსავალი უმეტეს შემთხვევაში ბუნების ხასიათზეა დამოკიდებული. ამიტომ პურის ქვეყანაში შიმშილობას ქრონიკული ხასიათი აქვს. გლახობა ხშირათ ამის გამო, სახელმწიფოს აწევა ზედმეტ ბარგათ. ყველა ამას თუ დაუმატებთ რუსის გლახის უკულტურობას, სოფლის ჩამორჩენილობას, უგზობობას და სამრეწველო ცენტრებიდან მოწყვეტას, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება გლახობის როლის გაზვიადება.

აქედან ცხადია, რომ გლახობა ნაციონალური ბურჟუაზიის მაგიერობას ვერ გასწევს. ამ მხრით რუსეთის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ძველი ბურჟუაზია ბოლშევიკებმა განადგურეს, ხოლო ახალს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. კომუნისტებმა თავისუფალი კაპიტალისტური მეურნეობა სახელმწიფო კაპიტალიზმით შესცვალეს, მაგრამ, როგორც დღეს ყველა ხედავს, ამან საქმეს არ უშველა და ეკონომიური კრიზისი კიდევ უფრო გართულდა, ვინემ ოდესმე ყოფილა. გამოსავალი აქედან ერთია—უცხო კაპიტალისთვის კარების გაღება. ბოლშევიკებმა უკვე გადადგეს ამ მხრით ნაბიჯი, მაგრამ მორიგება მათსა და უცხო კაპიტალს შორის ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ უცხო კაპიტალი არ გაიმარჯვებს. ის უე-

ჭველათ დაიპყრობს რუსეთს და გახდის მას ნედლი მასალის მიმწოდებლათ და ფაბრიკატების მომხმარებლათ. საერთაშორისო კაპიტალი დარწმუნებულია, რომ ეს გემრიელი ლუკმა ადრე თუ გვიან მას ჩაუთარდება ხელში. აი ასეთი მომავალი მოვლის რუსეთის სახალხო მეურნეობას. მასს უუქველათ ვარიანგები» დაეპატრონებიან და თვით გლახობაც მის საექსპლოატაციო საგნათ გახდება. გლახობის წრიდან გამოსული ლ. ლენინის გმირი ნეკმანი ზავარიხინი (ლენინის «ვორ») მართალია მუქარით ამბობს—ჩვენ ესლა ძალა ვართ, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. იგი მხოლოდ შორეული მომავლის მუსიკაა.

ესლა ვნახოთ რა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს რუსის გლახობა. საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეთ, განსაკუთრებით მემარჯვენებს, იგი უმთავრესათ პოლიტიკური მხრით აინტერესებთ. მონარქისტებს გლახობა უნდათ, როგორც ფიზიკური ძალა. რომელიც მათ ბოლშევიკების დამარცხების საშუალებას მისცემს, ხოლო რაც შეეხება სახალხო მეურნეობის ინტერესებს, ამ მხრით ისინი გლახობას აფასებენ როგორც საწველ ფურს და ყველაზე უფრო ადვილათ დაუთმობენ რუსეთის ბაზარს უცხო კაპიტალს.

მონარქისტები მთელ თავის იმედებს გლახების უკულტურობასა და პოლიტიკურ მოუწიფლობაზე ამყარებენ. გარდა ამისა, ფიქრობენ ისინი, გლახობამ ბოლშევიკების დიქტატურის ხანაში დიდი გაჭირება და შეურაცყოფა განიცადა და ამან კი, მეფის ავტორიტეტი ასწია მის თვალშიო. მათ უნდათ ეს საერთო გაჭირება და უკმაყოფილება ისარგებლონ და «კონტრაბანდათ» აღადგინონ მონარქია.

გაუმართლებს გლახობა მონარქისტებს იმედს? საეჭვო საქმეა. გლახისთვის მეფე და მემამულე განუყრელი მცნებაა. მან იცის მხოლოდ მემამულის დამცველი მეფე, სხვაგვარი მას ჯერ არ უნახავს. მეფის დაბრუნება, მის თვალში მემამულეთა დაბრუნებას ნიშნავს და მაშასადამე მიწის დაკარგვას. ეს უკანასკნელი კი გლახობისათვის მთავარია. მიწის გულისთვის გადაუდგა იგი მეფის ტახტს. მისთვის მიემხრო იგი ბოლშევიკებს და მისთვის აწარმოვა მან ბრძოლა კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ. მართალია მონარქისტები აცხადებენ—გლახების საკუთრებას არ შევცვებითო, მაგრამ გლახებმა გამოცდილებით იციან, თუ რა ფასი აქვთ მათ შეპირებას და როგორ ასრულებდენ მას დენიკინი და კოლჩაკი. გლახობისთვის მთავარია, დაუფლოს მიწას და შეინახოს იგი. მიწის სიყვარულით იგი დროებით გაჭირებასაც იტანს. ამიტომ იგი ინსტიქტიურათ უკან არ იხედება, არსებული მას ცუდი აქვს, მაგრამ წარსული კიდევ უკრო ცუდი და მწარე, ამიტომ იგი სძულს. მას ეშინია აგრეთვე მემამულეთა შურის ძიების.

ემ. იაროსლავსკის ტროცკის საწინააღმდეგო წერილში ერთი მეტათ დამანასიათებელი ფაქტი ქონდა მოყვანილი. მოსკოვის გუბერნიის ერთ ერთ თემში გლახებმა დაადგინეს—მოვიცადოთ გაზაფხულამდის, ნუ მივცემთ მთავრობას გადასახადს, გაზაფხულზე კი ტროცკი დაბრუნდება უცხოეთიდან ჯარით



და გაგვათავისუფლებსო. ეს ფაქტი ორ რასმე ამტკიცებს: ერთი იმას, რომ არსებული მდგომარეობით გლეხი უკმაყოფილოა. მაგრამ დახმარებას ეძებს არა ძველი რეჟიმის წარმომადგენლებში—კირილუ რომანოვსა და გენ. კუტეპოვში, არამედ მათში, რომელთაც ძველი რეჟიმისგან გაანთავისუფლა და რომელთაც კუტეპოვი დაამარცხეს. მოსკოველმა გლეხმა არ იცის დაწვრილებით, რა ნიადაგზე არსებობს უთანხმოება სტალინსა და ტროცკის შორის. მან იცის მხოლოდ ერთი, ის, რომ ტროცკიმ მემამულეები დაამარცხა და გლეხობას მიწის შოვნაში დაეხმარა. დღეს ეს ტროცკი საბჭოთა კავშირიდან გააძევეს და გლეხი რუსულათ ფიქრობს, ალბათ იმიტომ, რომ იგი «სიმართლეს» ეძებსო.

მეორეს მხრით ეს ფაქტი გვეუბნება იმას, რომ გლეხს თავისი საკუთარი ძალის იმედი არ აქვს და სხვისგან მოელის განთავისუფლებას. ეს შეხედულებები ძველია და ამტკიცებს მას, რომ, მიუხედავად რევოლუციის გაკვეთილისა, გლეხობა კიდევ ვერ განთავისუფლებულა მისგან და იგი პოლიტიკურათ ვერ მომწიფებულა იმ დონემდის, რომ სთქვას—მე თვით ვარ ძალა და ჩემი უფლება ბრძოლით უნდა მოვიპოვო.

რუსეთის გლეხობის პოლიტიკური გააწვრთნელობა და ორგანიზაციულათ შეუკავშირებლობა, მეტათ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ზრის რუსეთის პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში. რუსი ესერები და დემოკრატები, წინამძღვრ მონარქისტებისა, ჯოხს მეორე უკიდურესობის ხანაში და დემოკრატებისა და რუსეთის სახელმწიფოს მომავალ იმედებს მასზე ამყარებენ. მათის აზრით, რუსეთის გლეხობამ რევოლუციის ხანაში საკმაოთ დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე. ეს სხანს იქიდანაო, რომ მონარქიის წინამძღვრ ბრძოლაში სოციალისტებსა და დემოკრატებს უჭერდა მხარს, დამფუძნებელ კრებაში—ესერები აირჩიაო თავის წარმომადგენელათ, სამოქალაქო ომის დროს თეთრ-გვარდიელებს ებრძოდა და ბოლშევიკური დიქტატურის ხანაში ერთათ ერთათ კლასია, რომელიც ასე თუ ისე ებრძვის დიქტატურასო. ყოველივე ეს სიმართლეა, მაგრამ სიმართლე, რომელიც ახსნასა და განმარტებას მოითხოვს.

მიწის საკითხის გამო გლეხობის სიმპატია რევოლუციონერების მხარეზე იყო. ეს უდაო ფაქტია. მიუხედავათ ამისა, ის შეკავშირებულ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას არასოდეს არ წარმოადგენდა. ამის მიზეზი იყო და არის რუსეთის სოფლის მდგომარეობა. იგი მეტათ ჩამორჩენილი და უკულტუროა, არ არის შეკავშირებული ქალაქთან რკინის გზით, ტელეგრაფით, ტელეფონით და არც თვით სოფლის-სოფელთან. გლეხობის დიდი უმეტესობა გაფანტულია მივარდნილსა და მიყრუებულ სოფლებში. ასეთ პარობებში გლეხობის პოლიტიკურათ გაწვრთნა ადვილი საქმე არ არის. ამისთვის საჭიროა, რუსეთის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება განვითარდეს, მეტი თუ არა, დასავლეთ ევროპის თანამედროვე ეკონომიურ-კულტურულ დონემდის მაინც. ამიტომ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს რაზინისა და პუგაჩოვის რაზმი, იგი თვითპყრობელობასა და

დიქტატურას გადამწყვეტ ბრძოლას ვერასოდეს ვერ მისცემს. ამ მხრით, ფრანგი კომუნისტი სუვარინიც ძლიერ ცდება, როცა ამბობს—სტალინის დიქტატურას რაზინისა და პუგაჩოვის რაზმი დაამხობსო.

შორეული წარსულის ფაქტებს, რომ თავი დავანებოთ, ახლოწარსული ამ აზრს არ ამართლებს. თებერვლის რევოლუციაში გადამწყვეტი დაკვრითი როლი მუშებმა და ბურჟუაზიამ ითამაშეს, გლეხებმა რევოლუციის ამბავი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაიგეს. სამოქალაქო ომში კონტრ-რევოლუცია აუცილებლათ დაამარცხებდა გლეხობას და აღადგენდა მემამულეებს, რომ ბრძოლას სათავეში მუშათა კლასი არ ჩადგომოდა და მას არ გაენადგურებია დენიკინი და კოლჩაკი. მართალია, თვით გლეხობა იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, მაგრამ ბრძოლის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყვენ მუშები. გლეხობის ბრძოლის ორგანიზაცია დამოუკიდებლათ კი, «მახნოვშინასსა» და «ანტონოვშინასს» ვერ გასცილოდა.

თვით ის ფაქტი, რომ გლეხობამ დამფ. კრებაში ესერები აირჩია, მაგრამ მისი დაცვა ვერ მოაწყო. ამას ამტკიცებს. დამფ. კრება გლეხობის სულიერი განწყობილების გამომხატველი იყო, მაგრამ გლეხობამ ეს თავისი სულიერი განწყობილება ძალით ვერ გაამაგრა. ამით აიხსნება ისიც, რომ ისეთი ძლიერი პარტია, როგორიც რევოლუციის პირველ თვეებში, რუს. ესერები იყვენ, რამდენიმე თვის შემდეგ, პაერში გამოკიდებულნი დარჩა.

ის, რომ დღეს გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინამძღვრ საბოტაჟს ეწევა და ზოგჯერ აჯანყებასაც ახდენს, არ ნიშნავს კიდევ, რომ იგი შესძლებს დიქტატურის წინამძღვრ გადამწყვეტი ბრძოლის მიცემას. ამის იმედით ცხოვრება თავის მოტყვილებაა.

კომუნისტური დიქტატურისთვის გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს საერთოთ ქალაქი და კარძოთ მუშათა კლასი. ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირში ყველა დანარჩენ კლასებზე უფრო შეკავშირებული და პოლიტიკურათ გაწვრთნილი კლასია. მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ოქტომბრის რევოლუციაში და ადვილათ შესაძლებელია, მანვე მოახდინოს მისი ლიკვიდაცია ამა თუ იმ გზით. გადაჭრით ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ ამის სიპტომები რომ არსებობენ, ამის უარყოფა არ შეიძლება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის რომ კომუნისტურ პარტიაში ოპოზიციები არსებობენ და ერთ «მთლიან მონოლიტურ» პარტიას შეიგინდნ და ღრწიან და ხრწიან, აიხსნება მუშათა კლასის აქტივობით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს დიქტატურის ყოფნა-არყოფნისთვის.

უეჭველია სტალინი ამას ხედავს და ყოველ ზომებს იღებს იმისთვის, რომ დიქტატურას მუშათა კლასი შეუნარჩუნოს. როგორც ვიცით, ორი წლის წინეთ სტალინი სულ სხვანაირათ ფიქრობდა, მან გლეხებისკენ გადახარა თავისი სიმპატია და მას უკვე «გლეხობის მეფეს» უწოდებდენ. ამ მხრით ის შორს წავიდოდა, გლეხობას შეიძლება მიწას კერძო საკუთრებათაც მისცემდა, რომ მემარცხენე ოპოზიციის თავი არ წამოეყო და მუშათა კლასი მის წინამძღვრ

არ ემოდრავებია. მან დაინახა, რომ მოძრაობა მის დიქტატურას გაცილებით მეტათ ემუქრება, ვინემ გლეხობის საბოტაჟი, ან ტამბოვის აჯანყება.

სტალინის ეხლა დარწმუნებულია, რომ რუსის გლეხობა ყველაზე «ამტანი და მომთმენია» და კიდევ რომ არ არ მოითმინოს და მოახდინოს აჯანყება, იგი მას უფრო ადვილათ ჩააქრობს, ვინემ ქალაქისას. ის დარწმუნებულია, რომ გლეხობა ერთ მთლიან ფორნტს ვერ შექმნის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ, ხოლო ცალკალკე რაიონულ აჯანყებებს დიქტატურა ყოველთვის იოლათ ჩააქრობს. ამაში სტალინს ალბათ ეთანხმებიან დიქტატურის ყველა მონაწილენი.

მაშ სად არის გამოსავალი?

არ მინდა მეც მკითხაობა ვიკისრო, ანდა ვსთქვა ის, რაც ჩემ სურვილს შეადგენს.

ობიექტიურათ თუ მიუდგებით საკითხს, ჩვენს წინაშე საბჭოთა კავშირის მომავალის შემდეგი სურათი გადიიშლება:

იქ, სადაც კლასები სუსტია,—დიქტატურა ხარობს, ხოლო სადაც კლასები ძლიერი და დარაზმულია, იქ დიქტატურა ნიადაგს ვერ პოულობს. რუსეთში პირველ მოვლენას აქვს ადგილი და ამიტომ დიქტატურას აქ დიდხანს შეუძლია იარსებოს. ბევრს რასაკვირველია პრინციპიალურათ არაფერი ამის საწინაამდეგო არ აქვს, მათი სურვილია მხოლოდ ის, რომ სტალინის დიქტატურა—დენერლის დიქტატურით შეიცვალოს. არც ამას უნდა მოველოდეთ, ვინაიდან სამხედრო გმირს—ბონაპარტს, რუსეთში ნიადაგი არ აქვს, ვინაიდან დაავადებულ რუსეთს დღეს

ომის წარმოება არ შეუძლია. ამიტომ, როცა რუსული პრესა ბევრს მსჯელობს ბონაპარტიზმის შესახებ, ეს გაუგებრობაა. რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებული დიქტატურა უკვე არსებობს კომპარტიისა და სტალინის სახით, ხოლო სხვაგვარი დიქტატურის მოცემა, ზემო დასახლებული მიწეხეების გამო, რუსეთს არ შეუძლია. შესაძლებელია ერთი რამ: კომპარტიის დიქტატურამ, ამა თუ იმ პერიოდში, სხვადასხვა სახე მიიღოს. ასეთი პროცესი კომპარტიამ რევოლუციის ხანაში განიცადა და განიცდის დღესაც.

ამრიგათ, რუსეთი არსებულ მოჯადოვებულ წრიდან დიდხანს ვერ დაახწევს თავს. ბოლშევიკების დიქტატურიდან რუსეთი გაინთავისუფლებს თავს მალე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის სავარყო პოლიტიკა გაურთულდა და რომელიმე სახელმწიფოსთან ომი მოუხდა. იგი ომს ვერ გაუძლებს და მას გადაყვება თან.

რა მოყვება ამას შედეგათ?

ის, რაც მოყვა თვითპყრობელობის ტახტის დამხობას:—სამოქალაქო ომი, ანარქია და სეპარატიზმი. დიქტატურა თან ჩაიტანს საფლავში მის მიერ შექმნილ «სოციალიზმს» და საბჭოთა კავშირს.

აი ასეთი უნუგეშო მდგომარეობით აიხსნება ის გადაჭარბებული იმედები, რომელთაც რუსული პარტიები გლეხობაზე ამყარებენ.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ჩენია,


კაქი.

3 მაისი 1929 წ.

ს რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ი ნ გ ლ ი ს უ ი

ინგლისის საპარლამენტო არჩევნები კონსერვატული პარტიის და მისი მთავრობის სრული დამარცხებით დამთავრდა. გადამყრელი როლი ამ არჩევნებში უთუოთ ახალ ამრჩეველ ქალებმა ითამაშეს. ქალთა არჩევნების კანონი გასულ წელს იქნა გაყვანილი პარლამენტში კონსერვატულ მთავრობის მიერ. შვიდი მილიონი ახალი ამრჩეველი არ იყო ცოტა რამ, რომ მათი თანაგრძნობის მოპოებისათვის კონსერვატორებს ყურადღება არ მიექციათ. თან კონსერვატორებში არსებობდა ერთნაირი ილიუზნია, რომ ქალები საერთოდ მათ მისცემდენ ხმებს: უმთავრესათ ეს და არა სხვა რაიმე დემოკრატიული პრინციპით ხელმძღვანელობა იყო იმის მიზეზი, რომ ქალთა არჩევნების კანონი გატარებულ იქნა ძველი მთავრობის მიერ. მაგრამ მეორე მხრივ ყველას ახსოვდა ის, რომ წინა წლებში კონსერვატული პარტია, თითო-ორლა პირის გამოკლებით, როგორც მაგალითად ბონარ ლოუ და ბალფური, ერთსულოვნათ და სასტიკათ ებრძოდა ქალთა არჩევნების კანონის ცხოვრებაში გატარებას. არ იყო დავიწყებული არც ის, თუ როგორ უმასპინძლდებოდენ სუფრაჟისტები ქვეებით და ჯოხებით ლიბერალების ლიდერებს—ასკვიტს, ლორდ გრეის და სხვებს, რომლნიც მტრულათ იყვნენ განწყობილნი.

ძველი მთავრობის პოლიტიკით და საქმიანობით საერთოთ არავინ იყო კმაყოფილი. თვით კონსერვატული პარტია ორ ბანაკათ იყო გაყოფილი და ყოველივე საკითხის გამო იქ დიდი შეწლა-შემოხლა ხნებოდა. ამ უთანხმოებათა გამო პარტიას სწირათ არ ქონდა შესაძლებლობა ამა თუ იმა საკითხის შესახებ ერთი რაიმე გადაწყვეტილება მიეღო და შესაფერათ ემოქმედა მას. პარტიის ლიდერი ბალდვინი მუდამ იმის ცთაში იყო, რომ პარტიაში ერთნაირი გარეგნული მთლიანობა მაინც დაეცვა და განხეთქილება თავიდან აეცილებია. ამიტომ ბევრ შემთხვევებში კითხვებს დიათ სტოვებდენ და პრაქტიკულათ ვერაფერს აკეთებდენ. კონსერვატორების ზოგ გამოჩენილ მოღვაწეთა აზრითაც ამ უკანასკნელ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინგლისის ისტორიაში არ არ მოიძებნება მეორე მთავრობა, რომელსაც გამოეჩინოს საქმიანობის ისეთი ცოტა უნარი, როგორც ამას ბოლდვინის მთავრობა იჩენდა. ოთხ წელ ნახევრის განმავლობაში ამ მთავრობამ ვერც ერთ დარგში, ვერც შინ და ვერც გარეთ ვერ მიადწია თავის-მუშაობით ისეთ შედეგს, რითაც მას შესძლებოდა დაეკმაყოფილებია ფართე საზოგადოებრივი აზრი. მას უმოქმედობისა და უინიციატივობის მთავრობას უწოდებენ.



ოპოზიციის მყოფი პარტიები ბოლშევიკების მთავრობის შეცდომებს და უმოქმედობას სასტიკათ აკრიტიკებდნენ და მისდამი უნდობლობის გამოცხადებას მოითხოვდნენ. მთავრობის პოლიტიკის ნაკლის აღნუსხვას არჩევნებში გაცილებით მეტი ადგილი ქონდა დათმობილი, ვიდრე ოპოზიციონერების პროგრამების დადებითად გაშუქებას და მათი მომავალი მუშაობის გეგმის ახსნა-განმარტებას. მთავრობის საწინააღმდეგო აზრის მობილიზაცია ხებოდა უმთავრესათ არა ოპოზიციონერ პარტიების პროგრამების გარშემო, არამედ უფრო ყოფილი მთავრობის ნაკლებლოვანებათა და შეცდომათა კრიტიკის გარშემო.

არჩევნების შედეგმა ბევრს იმედები ვერ გაუშარბოლა. კონსერვატორებს უკანასკნელ პარლამენტში 400 მეტი ადგილი ქონდათ. ეჭვი არ იყო იმაში, რომ ამ არჩევნებში კონსერვატორები ბევრ ადგილს დაკარგავდნენ, მაგრამ მათ ლიდერებს კიდევ ქონდათ იმედი, რომ მცირედ უმრავლესობას მაინც შეინარჩუნებდნენ. ნამდვილათ კი კონსერვატულ პარტიას ეწვია იგივე ბედი, როგორც 1906 წელს, როცა კონსერვატორები სასტიკათ დამარცხდნენ და მათი მაშინდელი დიდი უმრავლესობა პარლამენტში უმცირესობათ იქცა. კონსერვატული პარტია არჩევნებში მხოლოდ მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისით მოგვრებით კმაყოფილდებოდა და ამრჩევლებს დადებითად ვერაფერს აწოდებდა. მას დიდათ აკლდა ენტუზიაზმი. წინდაწინ იყო ყველა დარწმუნებული იმაში, რომ კონსერვატორების საქმე ვერ იქნებოდა კარგათ. ასეთ პირობებში კი კონსერვატული პარტია, რასაკვირველია, ამრჩევლების დიდ თანაგრძობას ვერ მოიპოვებდა. მან დაკარგა 151 ადგილი და დღეს მას პარლამენტში 412 დეპუტ. მაგივრათ 260 დეპუტატიყავს.

დიდი იმედები ქონდათ ლიბერალებს, რომ მათი რიცხვი პარლამენტში თვალსაჩინოთ გაიზარდებოდა და მათგან იქნებოდა დამოკიდებული ძალაუფლების წონასწორობის დამყარება. ლიბერალებმა დარაზმეს მთელი მათი ორგანიზაცია. სახსარი მათ არ აკლდათ, ლიბერალების ფონდი ხომ მეტად ძლიერ წყაროს წარმოადგენდა მათთვის. ლიბერალებმა მომართა მთელი მისი ნიჭი, მკვერმეტყველება, ენერგია და შურდულუვით გადაეშვა საარჩევნო ბრძოლაში. მე არ ვიცი მეორე გამომჩენილი პოლიტიკური მოღვაწე არც ინგლისში და არც კონტინენტზე, რომელსაც ქონდეს იმდენი ცეცხლი და ენტუზიაზმი, როგორც ლიბერალებს აქვს და რომელსაც ისე ადვილათ შეეძლოს ხალხზე გარეგნული შთაბეჭდილების მოხიზნა, როგორც მას. უმუშევრობის საკითხი მან, მაგალითად, ლიბერალურ პარტიის ლოზუნგათ გადააქცია და შეეცადა მუშათა პარტიისათვის ის ხელიდგან გამოეგლიჯა, მაგრამ მეორე მხრივ ლიბერალური პარტიის უბედურება სწორეთ იმაშია, რომ ამ პარტიას ლიბერალები ხელმძღვანლობს. პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწისათვის არ კმარა მხოლოდ ნიჭი, მკვერმეტყველება და ენერგია, მას ბევრი სხვა რამეც სჭირია. ლიბერალებს კი არ ენდობა არა თუ მისი პარტიის გარეშე მყოფი ხალხი, არამედ მისი ნდობა არ აქვთ მის ახლო მეგობრებს. ლიბერალურ პარტიის სხვა ლი-

დერებს, როგორც იყო ასკვითი და როგორც არიან დღეს ლორდ გრეი, საიმონი და რანსიმანი, არა ერთხელ და საჯაროთ განუცხადებიათ, რომ ლიბერალები «არ არის პირდაპირი» ადამიანი. «მას ვერ ენდობი», «არ იცი კაცმა, რას იტყვის და რა აზრის იქნება ის სხვა», «არ არის პატიოსანი», «ადვილათ შეუძლია ლალატი», «უპრინციპოა», «არ უძნელდება პირად ამბიციებს შესწიროს საზოგადო ინტერესები» და სხვა. ინგლისში ბავშვს რომ კითხოთ მისი აზრი ლიბერალებზე, მოგივებთ: «ლიბერალები დიდი კაცია, მაგრამ სანდო არ არისო». ასეთ პირობებში კი ლიბერალური პარტიის პრესტიჟი ამრჩევლების თვალში, რასაკვირველია, ვერ აიწვედა. ლიბერალურ პრესის ხმაურობა ლიბერალურ პარტიის «გამოცოცხლების» შესახებ უბრალო ბაჟიობა გამოდგა. ლიბერალები ფიქრობდნენ, რომ 1924 წელს დაკარგულ ადგილებს კონსერვატორებიდგან უკანვე დაიბრუნებდნენ და მათი დეპუტატთა რიცხვი დღევანდელ პარლამენტში 100-მდე ააღწევდა. მათი იმედები არ გამართლდა, მათ დღეს მხოლოდ 58 დეპუტატი ყავთ პარლამენტში.

ინგლისის არჩევნების ერთი მეტად საინტერესო მხარე ის არის, რომ აქ საუხებოთ გამოაშკარავდა კომუნისტური პარტიის უძლურება და უსუსურება. კომუნისტებმა 25 კანდიტატი წამოაყენეს ამ არჩევნებში და ყველა ესენი დაუპირდაპირეს მუშათა პარტიის ლიდერებს იმ მიზნით, რომ ხმები გაეყოთ და მით მუშათა პარტიის წარმომადგენლები გაეშავებიათ. ოცდახუთივე მათი კანდიტატი გაშავებული იქნა და მათი ხმების რიცხვი ყოველგან უმნიშვნელო იყო. იქ, სადაც მუშათა პარტიის კანდიტატი იღებდა ოცდათუხმეტ, ოცდაათ, თუ ოც ათას ხმას, კომუნისტების კანდიტატი კი ხუთას, ოთხას, თუ სამას ხმამდე ძლივს აღწევდა. მათი ერთად ერთი დეპუტატი ძველ პალატაში—საკლავალა სასტიკათ დამარცხებულ და გაშავებულ იქნა. ამ არჩევნებმა ცხადყვეს ინგლისის კომუნისტური პარტიის არარაობა. ის დღეს აღარ წარმოადგენს რაიმე ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომ მას ვანმე რამე ანგარიში გაუწიოს.

ყველაზე უძლიერესი პარტია ამ ქამათ პარლამენტში მუშათა პარტიაა. მას იქ 286 დეპუტატი ყავს და მიიღო რვა ნახევარ მილიონამდე ხმა. მუშათა პარტია მატერიალური მხრივ არ იყო ისე კარგ მდგომარეობაში, როგორც მისი მოწინააღმდეგენი და მუშაობის მთელი სიმძიმე ადგილობრივ ორგანიზაციებს აწვა თავზე. მაგრამ სამაგიეროთ მუშათა მოძრაობის სამივე დარგი—პოლიტიკური, ეკონომიური და კოლპერატიული შეთანხმებულად და ერთად მუშაობდნენ და თანხარო ენტუზიაზმით იყენენ გამსუვალდენი. მუშათა პარტიის გამარჯვებას დიდათ შეუწყობა ხელი იმანაც, რომ კომუნისტებმა თავიანთ საკუთარი კანდიდატები წამოაყენეს, რითაც მოწინააღმდეგეებს წაერთვა საშვალება, დემაგოგისათვის მიემართათ და მუშათა პარტია კომუნისტებათ მოენათლათ. თან პარტია არჩევნებში ზომიერი პროგრამით გამოვიდა და შეეცადა ამრჩევლები უკიდურესი ზობების პროპაგანდით არ დაეფრთხნა. ლიბერალების დემაგოგიას უმუშევრობის საკითხში მუ-

შათა პარტიის კანდიდატები ადვილიდ უმკლავდებოდენ მის პრემიერობის დროს ამ საკითხში მისი უმოქმედობის და უინიციატიუობის აღნიშვნით.

მუშათა პარტიას ამ არჩევნებში ის დიდი უპირატესობა ქონდა, რომ მას სხვებთან შედარებით საუკეთესო ხელმძღვანელი და ლიდერი ყავდა. სრულიად არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ გლადსტონის შემდეგ ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის არ მოიძებნება მეორე პიროვნება, რომელიც წარმოადგენდეს ისეთ მორალურ ძალას, როგორც ეს მაკდონალდის შესახებ შეიძლება ითქვას. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მისი პირველი პრემიერობის შემდეგ, მაკდონალდი დიდად მომწიფდა და გაიზარდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. მაკდონალდის დიდკაცობა გამოიხატება მის ძლიერ პიროვნებაში და ხასიათში, მის გარკვეულ მიზანში და გულწრფელობაში. ის ცნობილია, როგორც დიდი ინიციატივის, ენერჯის და გამბედაობის მქონე ადამიანი. ის არის მორალისტი-ფილოსოფოსი და იდეალისტი, რომელიც მუდამ ცთილობს სიტყვა საქმეთ აქციოს. ზედმიწევნით კარობს იცნობს ის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ საკითხებს, აგრეთვე ისტორიას და ლიტერატურასაც. მუშათა პარტია დღეს პარლამენტში სხვა პარტიებთან შედარებით ყველაზე უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანია. საერთოდ კი ის იქ უმცირესობას წარმოადგენს. დღევანდელი მთავრობაც უმცირესობის მთავრობაა. მაგრამ მიუხედავად ამისა მუშათა პარტიას აწრათაც არ მოსვლია ლიბერალეობ. თან რაიმე წინასწარი მოლაპარაკება გაემართა პარლამენტში მათი საერთო თანამშრომლობის შესახებ. ეს მით აიხსნება, რომ მაკდონალდის დღევანდელ და წინანდელ მთავრობათა შორის არის საგრძნობი განსხვავება. 1924 წელს მაკდონალდი ეყრდნობოდა პალატაში 193 მუშათა დეპუტატს 258 კონსერვატორის წინააღმდეგ და, თუ მას ლიბერალეები აქტიურათ მხარს არ დაუჭერდენ, მისი მთავრობა ძალაუფლებების შენარჩუნებას ვერ შესძლებდა. ასეთ პირობებში მაკდონალდის მთავრობამ მიიღო გაძლია იმ დროს ათი თვე. დღეს კი მაკდონალდი ეყრდნობა 289 მუშათა დეპუტატს 260 კონსერვატორის წინააღმდეგ და მას ლიბერალეების აქტიური დახმარება აღარ სჭირია. მისთვის საკმარისია მხოლოდ, რომ ლიბერალეებმა მას ხელი არ შეუშალონ და მთავრობის წინააღმდეგ ხმის მიცემისაგან თავი შეიკავონ.

ცხადია, მაკდონალდის მთავრობა მით უფრო დიდ ხანს გასძლებს, რამდენათ ის მეტ გამოიჩინება გამოიჩინეს და თავის პოლიტიკას ისე მოიმართავს, რომ ლიბერალეებმა ადვილათ ხმა ვერ მისცან მის წინააღმდეგ. მუშათა მთავრობა პარლამენტის მომავალ სესიებში შეიტანს ალბათ ისეთ კანონპროექტებს, რომელთა დაცვის შესახებ ლიბერალეებს სიტყვა აქვთ მიცემული ამრჩევლებისათვის და რაზედაც ისინი ეხლა ასე ადვილათ უარს ვეღარ იტყვიან. ასეთ კანონპროექტი კი კარგი დიდძალი იქნება და მათი კანონმდებლობის გზით გატარებას არა ერთი და ორი სესია დასჭირდება. შეიძლება პირადი ამბიციებით გაააცებულმა ლოიდ-ჯორჯმა მოინდომოს კონსერ-

ვატორებთან დაახლოვება და მათთან ერთად მაკდონალდის მთავრობის გადაგდება. მაგრამ ეს არ იქნება მისთვის ადვილი საქმე. საგრძნობი რიცხვი ახალ გაზდა ლიბერალ დეპუტატებისა დღეს პარტიის რადიკალურ ფრთას ეკუთვნის და ისინი მუშათა მთავრობის წინააღმდეგ კონსერვატორებს მხარს ვერ დაუჭერენ. წინააღმდეგ, უკვე არის ერთი შემთხვევა, როცა ერთი ასეთი ლიბერალი—რადიკალი მთელ ინგლისში მეტად გამოჩენილი და ცნობილი ვეჩილი—ჯოუტი მუშათა პარტიას შეუერთდა.

მუშათა მთავრობას მთელი ინგლისის პრესა, კონსერვატული და ლიბერალურიც, მეტათ თავაზიანათ შეხვთა. ამ არჩევნებიდან გამარჯვებული მხოლოდ მუშათა პარტია გამოვიდა და მას უნდა მიეცეს საშუალება გვიჩვენოს თავისი უნარი და საქმიანობა. თუ მაკდონალდის მთავრობა ზომიერათ და გონიერათ წაიყვანს საქმეს, ჩვენ მას მუშაობაში ხელს არ შეუშლითო. ეს კი იმის მაჩვენებელია. თუ რამდენათ ინგლისის ხალხი ღრმათ არის გამსუვალული დემოკრატიული სულისკვეთებით.

მუშათა მთავრობას დღეს, შედარებით 1924 წელს, უკეთეს პირობებში იწყებს მუშაობას და მისგან შინაც და გარეთაც ბევრი რამის გაკეთებას მოელოიან. საერთოდ ფიქრობენ ინგლისში, რომ აქ მუშათა მთავრობის შედგენას ექნება დიდი ნაციონალური და ინტერნაციონალურა მიზნენდობა.

შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ მაკდონალდის მთავრობის ცუდი მხარე ის იქნება, რომ ის ალადგენს დიპლომატურ კავშირს რუსეთთან. მაგრამ რა სხვა მთავრობაც არ უნდა ყოფილიყო ეხლა ინგლისში, იქნებოდა ის კონსერვატული, თუ ლიბერალური, ისიც ალადგენდა ამ კავშირს რუსეთთან. ყოფილი მთავრობის წრეებში უკვე იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ, თუ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდოდენ, რუსეთთან კავშირი ალედვინათ. რუსეთს დღეს კავშირი ბევრ სხვა სახელმწიფოებთანაც აქვს, მაგრამ მას აქედან ბევრი არაფერი გამოუდის. თუ რა მილიონებს მიიღებენ ბოლშევიკების ინგლისის ფინანსთა მინისტრისაგან—სნაუდენისგან, რომელსაც დიდათ არ უყვარს, სხვებს ბევრი აძლიოს და თვითონ კი სამაგიეროთ არაფერი მიიღოს, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

სანამ კონსერვატორების მთავრობა იყო ინგლისში, ბოლშევიკები ბოლდვინის მთავრობას მთელი ევროპის რეაქციონერების ხელმძღვანელათ სახაგდენ. აწინებდენ რუსის ხალხს, რომ ეს რეაქციონერები ინგლისელების ხელმძღვანელობით დღეს, თუ ხვალ თავს დაგვესხმიან და შემოგვესვიანო. ასეთი რამ რუსეთის ხალხს მართლაც სჯეროდა და ეს მასში თავდაცვის ერთგვარ სულისკვეთებას ქმნიდა. ბოლშევიკების ამ პროპაგანდას ქონდა აგრეთვე მნაშვნელობა თვით კომუნისტური პარტიის თუ გინდ გარეგნული მთლიანობის შესანარჩუნებლათაც. დღეიდგან კი ბოლშევიკებს ერთმევათ საშუალება ასეთი ხასიათის დემაგოგია აწარმოონ. მომავალში მათ აღარ შეეძლებათ საბჭოთა რეჟიმის რღვევის პროცესი ასე ადვილათ შეანლონ.

ლონდონი. ივნისი. 1929 წ.



ა ჯ ა ნ ე მ ე ბ ა ა ზ ა რ ა შ ი

აჯანყების მიზეზი იყო: ა) ჯამიების დახურვა, ბ) მთავრობა აძალბებდა ქალებს პირზე ახდას, ვ) მთავრობამ დაადგა ზედმეტი გადასახადი და გ) ციმბირში აქარელთა გადასახლება.

აჯანყება პირველათ იქიდან დაიწყო, რომ ბაირამის დღეს, ლოცვის დროს, კომუნისტებმა თხა აიყვანეს ჯამეს სალოცავ ადგილზე, რომელსაც ქვია ხუთბე. თხას კუდზე უჩხვლიტეს დი აყვირეს, როგორც ხოჯა. ხალხი გაბრაზდა და აჯანყდა, დაიწყეს კომუნისტების ხოცვა. პირველი ბრძოლა მოხდა აქარელ კომუნისტებსა და არა კომუნისტთა შორის. მეორე დღეს მონაწილეობა მიიღო მთავრობამ და შეეცადა მორიგებას, მაგრამ ხალხმა არაფერი არ დასთმო. ჩხუბი ათ დღეს გაგრძელდა მთავრობასა და ხალხს შორის. მთავრობა დამარცხდა და დაიწყო მორიგებაზე ლაპარაკი, მაგრამ ხალხი არ დაენდო არც ბათუმის მთავრობას და არც თბილისისას. შემდეგ მოვიდა მოსკოვის წარმომადგენელი და ჩხუბი შეაჩერეს.

მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელს ხალხმა შესჩივლა თავისი გაკვირება. წარმომადგენელმა დითქოს დიდათ გაიკვირვა, რომ ჩვენ არაფერი ვიცითო და შეპირდა აქარის ხალხს თავისუფლად ცხოვრებას, სთხოვა დაწყნარება და დაპირდა ადგილობრივი მთავრობის პასუხისმგებლობაში მიცემას.

ხალხის მოთხოვნილება იყო შემდეგი: ხალხი იყოს სრულიად თავისუფალი, მათ ჩვეულებებს ხელს არავინ ახლებდეს. კერძოდ, 1. ჯამიების დახურვა არ უნდა მოხდეს. 2. ქალების პირზე ახდა არ უნდა მოხდეს. 3. ციმბირში გადასახლებული აქარელები უნდა გაანთავისუფლონ. 4. გადასახლებაზე უარი და 5 თავისუფალი უპირობის შემოღება.

მოსკოვის წარმომადგენელმა ყველა ამ მოთხოვნილებების გატარება აღუთქვა და, როგორც წინასწარი ზომა, ბათუმის ციხეში დატუსაღებული აქარელები გაანთავისუფლა.

მიუხედავად ამისა, ხალხის ერთი ნაწილი არ ენდო მთავრობას და 500 კაცამდე გადავიდა ოსმალეთში. ამ ეპიზოდს აქარელთა შორის ხოცვა კიდევ გრძელდება. რაც აქარაში კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ, სულ გაქაღბტეს, ხოლო ვინც ბათუმში გაქცევა მოასწრო, მას სახლ-კარი გადაუწვეს.

მთავრობამ დიდი ზომები მიიღო. ჩააყენა ჯარი სხვა და სხვა სოფელში და სდევს დასაჭურად გაქცეულთ. ახლა მთავრობას არავინ ბარდება და გარბიან ოსმალეთისაკენ. აჯანყების დროს კომუნისტური მთავრობის მხრივ მოკლულია 400 კაცი. ხოლო აჯანყებულთაგან 100 კაცი.

ძველი აჭარელი.

26 მაისის დღესასწაული ვაკრავაში

ქ. ვარშავის თვითმართვლობის დარბაზები ყოველ წუთს მზათ არის, განსაკუთრებული სიმბატიით და სიყვარულით მიეგებოს პოლონეთში ქართული კალონის და მისი გამგეობის მიერ ქართულ ეროვნულ საქმისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. ეს დარბა-

ზები ქართველ კომიტეტის სრულ განკარგულებაშია ნინოზობას—ქართულ ტრადიციულ საღამო-ბალისათვის; აგრეთვე 26 მაისს—ქართველი ერის უშესანიშნავეს დღისათვის. იმდენათ პოპულარული გახდა ვარშავაში და შეიძლება თამამად ითქვას მთელ პოლონეთში—ეს ორი დღე, რომ მათ მოახლოვებას ხანდინჯან თვით პოლონელ საზოგადოებისაგან ვტყობინობთ. გასული თვის 26 სხვა და სხვა დეკორატიულ მცენარეულობით და ქართულ და პოლონურ ეროვნულ დროშებით მორთული დარბაზი, პოლონურ საზოგადოებით გაქედული, სულ განაბული უცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის თერთმეტი წლის დღესასწაულის გახსნას.

წინა რიგებში სხედან მთავრობის, უმაღლესი მხედრობის, პოლონეთის საზოგადოებრივ-კულტურული, პოლიტიკური ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს მეგობარი მღვდელთმთავარი როპი.

წინა დღით, 25 მაისს, ქართულმა კომიტეტმა მიიღო სამხედრო მინისტრ მარშალ პილსუდსკის კაბინეტის უფროს გენ. შტ. მაიორ პრუხნიცისაგან შემდგენი შინაარსის ოფიციალური წერილი:

«ბ. მარშალი პილსუდსკი მადლობას უხდის ქართულ კომიტეტს 26 მაისის დღესასწაულზე დაპატიყებისათვის, რომელზედაც პირადათ დასწრებას სამწუხაროთ ვერ ახერხებს. ბ. მარშალის წარმომადგენლათ ინიშნება გენ. შტ. პოლკ. დ-რ ბოლესლავ ვენიავა-დლუგოშევსკი, ვარშავის გარნიზონის კომენდანტი».

დღესასწაული გაიხსნა 12 საათზე კომიტეტის თავმჯდომარის ბ. სალაყაის მიერ, რომლის შინაარსიან სიტყვას (პოლონურ ენაზე) მქუხარე ტაშით მიეგება საზოგადოება. შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს გულწრფელმა მოსიყვარულემ და დიდმა მეგობარმა ცნობილ მწერალმა სეროშევსკიმ. სანამ მისი რიგი მოვიდოდა, მას შეეხვდი დარბაზის მეზობელ ოთახში, რომელიც დაკავებული ქანდათ დღესასწაულში მონაწილე ვარშავის ოპერის მსახიობთ. მივესალმე მოხუც მწერალს... «პროზე პანა... დავით აღმაშენებელი, საქართველოს ძლევა მსილობის განსახიერება, თუ არ ვცდები, ბრწყინვალე თაიარის წან მეფობდა, არა?»...

მეკითხება საბა სულხან-ორბელიანის ევროპაში დიპლომატიური მისიით მოგზაურობის შესახებ და დასძინს: «რამდენათაც მე ვიცი, ის ვარშავაშიაც იყო, აქ ავთმყოფობდა კიდევ»-ო.

თავის შესანიშნავ სიტყვაში უკანასკნელი კიდევ აღნიშნა და დასძინა: აბა პოლონეთს რა შეეძლო იმ დროს, როდესაც თვით იმევე ბედს განიცდიდა. როგორშიაც საქართველო იყოფო. სამწუხაროთ ადგილ ნებას არ გვაძლევს ეს შესანიშნავი სიტყვა თუ გინდ მოკლეთ მოვიყვანოთ აქ. განსაკუთრებული ხაზი გაუსვა საქართველოს და პოლონეთის როლს აღმოსავლეთ და დასავლეთ ხალხთა და მათ მოძრაობათა შორის. აღნიშნა აგრეთვე კულტურული კაცობრიობის წინაშე საქართველოს უადრესი დამსახურება... დამსწრე საზოგადოებაზე მოხუც მწერალის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და სათანადო ოვაციით მიეგება.

მის შემდეგ პოლონელ ქალთა სახელით გამოვიდა ქ-ნი უერანსკა, რომელმაც წაიკითხა ამ დღისათვის სავანებოთ დაწერილი და მთავრობასთან ახლო მდგომ გაზეთ «გოლოს პრავდა»-ში მოთავსებული— ცნობილ მწერალ ქალის ველნაპოლსკის წერილი.

დღესასწაულის მეორე საკონცერტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა კომიტეტის წევრი ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ვარშავის ოპერის მსახიობი ბ. გ. სიხარულიძე.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ვარშავის საოპერო თეატრის ცნობილ მსახიობთა მიერ ქართულად შესრულებულმა რომანსებმა და დუეტმა «აბესალომ და ეთერიდან», რის შემდეგ დღესასწაული დასრულებული იქნა.

26 მაისის დღესასწაულს დიდი წერილები უძღვნეს ვარშავის გაზეთების უმრავლესობამ. ზოგ გაზეთებმა დაუთმეს მოწინავე: «დამოუკიდებელი საქართველო».

კახაბერი.

11 წლის თავი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამდგნადებისა *)

კვირას, 26 მაისს შესრულდა 11 წელი, რაც ქართველმა ერმა კავკასიაში გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. 26 მაისი საქართველოსთვის ის არის, — რაც ჩვენთვის-28 ოქტომბერი. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად გამართულ იქმნა ქართველ ემიგრაციის ბინაზე («კოლხიდა») პრალაში ვიწვერადღე დიდი ზეინი. ზალა მორთული იყო პრეზიდენტ მასარიკის და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნოე უორდანიას სურათებით. უკანასკნელის სურათი იმ დროს ეკუთვნის, როცა საქართველო იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და არ იყო, როგორც არის დღეს, ძალდატანებით დაკავებული საბჭოთა ჯარების მიერ. დღესასწაული გახსნა პრალაში ქართველთა ემიგრაციის თავმჯდომარემ ამხ. დიმ. ემუხვარმა, რომელმაც მოიკრა მნიშვნელობა ამ დღის, რის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა სენატორი ამხ. დ-რი სოუკუპი. უკანასკნელმა აღნიშნა დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკას და ქართველ ერს შორის, ისტორია საქართველოს სოცდემოკრატიის და მისი მნიშვნელობა. მისივე წინადადებით გაეგზავნა მისალოცი დეპუტა ნოე უორდანიას, რომელიც იყო არამც თუ პრეზიდენტი რესპუბლიკის, არამედ ამავე დროს სულიერი შემოქმედელი და ორგანიზატორი ქართული სოციალზმის და რომელსაც მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო სოცკონგრესებზე, როგორც მაგ. ჰამბურგში, მარსელში და სხვა. მის შემდეგ ილაპარაკა ქართველებიდან ამხ. აილომ, ყუბანელებიდან ბიჩმა, ბელორუსებიდან-ზახარხომ. უკრაინელმა გალაგანმა, უკრაინის სოცდემოკრატიებისაგან იწყინებმა ბუტოვსკიმ, უკრაინ-

ნის სტუდენტთა კავშირისაგან ორლეცკიმ, მთიულე-ბისაგან ზანგიევმა, სომხებისაგან ისაკიანმა. საღამო დამსვენეს სიმღერით ჩეხურათ და სლოვაკურათ ქ-ნ ლეპშა-ნოვოტნასიმ, ქართული სიმღერით კი ქ. აილომ. დღესასწაულს დაესწრო მთელი რიგი ჩვენი ამხანაგებისა, მათ შორის სენატორი ამხ. ბოჟენა ეკ-შტეინოვა, «პრავა ლიდუსაგან» ამხ. ი. ნოვაკი, ლუმელსი, კოუში, სვეცენი და სხვა. სხდომა დაიხურა სენატორ სოუკუპის სიტყვით, რომელმაც გულწრფელად უსურვა ქართველებს გამარჯვება და მათი მუშაობის ახლო მომავალში დაგვირგვინება.

მიღწევა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

ბ-ნ ნოე უორდანიას.

დღეს პრალაში ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების მიერ ჩემი თავმჯდომარეობით გადახდილი იქნა ზეინი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავის აღსანიშნავად. ყველა დამსწრეთა მონდობილებით ვუგზავნი თქვენს საშვალეობით საღამო ქართველ ერს; ვუსურვებთ მას განუხორციელებილს ყველა თავისი ნაციონალური და სოციალური მისწრაფებანი.

პრალა, 26 მაისი, 1929 წელი.

დ-რი ფრონეტ სოუკუპი.

ქართველები პარიზში.

გასული მაისის 26 ქართველობამ კვლავ იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავი—«აღიანს ფრანსენ»-ის დარბაზში. დღესასწაულს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, იყო ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. უორდანიას, მრავალი უცხოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სომხეთის, ადერბეიჯანის, ჩრდილო კავკასიის, უკრაინის და სხ. წარმომადგენლები. დღესასწაული გახსნა საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. დ. სხირტლამემ, რომელმაც ჯერ ფრანგულად მიმართა სტუმრებს და მერმე ქართულად ქართველებს და მკაფიოდ და მოხდენილად აღნიშნა 26 მაისის მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში. მერე ვრცელი სიტყვა წარმოხატქვა ფრანგულად ბ. გ. გვაზავამ ამ თემაზე «საქართველოს საკითხი პარიზის კონგრესზე» და სათანადო დოკუმენტები გააცნო დამსწრეთ. სიტყვებს მოყვა მუსიკალური განყოფილება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ-ბმა გობეჩიამ, ნინო ლეყენმა, მარცელა შობიონმა და ხუნწარია, და ბ.ბ. ივანიძე-დუბროვსკიმ, ირ. ორბელიანმა, ნანობაშვილებმა და ბ. მოსულიშვილის ხორომ. ყველამ მეტად ასიამოვნა საზოგადოება და მსურველ ეტაში გამოიწვია. ქ. გომართელმა და ბ. ჭიჭინაძემ საუცხოვოთ შეასრულეს ლექტური.

26 მაისი ქართველებმა გადაიხადეს აგრეთვე ოდენკურში, გრენობლში, ორნის რკინის მაღაროებში და ევროპის სხვა ადგილებშიც.

*) თარგმანი ჩეხურიდან. ეს ანგარიში მოთავსებული იყო ჩეხის ს. დ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში («პრავა ლიდუ». 28 მაისი. 1929 წ.).



იტალიური გაზეთი

საქართველოს შესახებ

რომის დიდმა და ყველაზე გავრცელებულ გაზეთმა «il Messaggero»-მ ორსვეტიანი მხურვალე და შინაარსიანი წერილი უძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ამ სათაურით: «ქართველი ხალხი» (il popolo georgiano). წერილის პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიულ მიმოხილვას და მოუთხრობს მკითხველს იმ მდიდარსა და თავგადასავალით აღსავსე სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რაიცა ქართველ ერს ჯერ კიდევ პრაქრისტიანულ ხანაში სჩვევოდა. ავტორი ჩამოთვლის ძველი დროის მეცნიერებსა და მწერლებს, რომელნიც უხვი ქებით იხსენიებენ ქართველობის მხნესა და დაუღალავ ღვაწლიანობას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სტრაბონის ნაწერებს, სადაც აღნიშნული არის საქართველო—ის ქვეყანა, რომელშიაც მოსახლეობს «რასა მაგარი და გამძლე, გულადი და უგანათლებლესი» (una razza forte, valorosa e civilissima). როგორც უძველესი საქრისტიანო სახელმწიფო, საქართველო—ავტორის აზრით,—იმ თავითვე გვერდში ამოუდგა დაწინაურებულ დასავლეთს და მისი კულტურის ავანგარდის სახელი მოიხვეჭა წანაწიანში. შემდგომ ავტორი ეხება ჩვენი წარსულის ფერმინხილ დღეებს, როდესაც მცირერიცხოვან ერს ჰკლიდა და ამწუხარებდა უსწორო და დაუსრულებელი ომები აზიის მრისხანე ურდოებთან—მონღოლებიდან და არაბებიდან მოყოლებული, შემდგომ სპარსეთთან ერთის მხრით და თურანულ ხალხებთან მეორის მხრით. კონსტანტინოპოლის დაცემამ საქართველოს დასავლეთის გზები დაუხშო და მე-15, 16 და 17 საუკუნეებში საქართველოს სისხლი აღარ შეჰპრობნია. საქართველოს სამეფოს ასეთი შეიწროებული მდგომარეობითა და ევროპისაგან მოწყვეტით იტალიელი ავტორი ჰხსნის ვრცელ მეფის ცდას იმ დროს უკვე გაძლიერებულსა და კავკასიონის ქედამდის მომდგარ რუსეთთან დასახლოებლად. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მეფის ასეთი სულისკვეთება შეუძნეველი არ დარჩა გაერთიანებული და ძლიერი სპარსეთის შაჰის აღამაჰმედ ხანისაგან; უკანასკნელი მრავალჯერ შეეცადა სხვადასხვა საშუალებით აეცდინა მისთვის ხელუყრელი «საქართველო-რუსეთის კავშირი» და როცა წარდგენებმა და დიპლომატიურმა ღონისძიებამ უნაყოფოდ ჩაუარა, იარაღს მიჰპართა, ცეცხლითა და მახვილით გადმოლახა საზღვრები, მიანგრმონანგრია ვრცელ მეფის მორჩილი სახანოები და ბოლოს გადაწვა თვით საქართველოს დედაქალაქი ტფილისიც. ილაჯგაწყვეტილი ქვეყნის დაუძლურება ამასობაში ისარგებლა რუსეთმა და ანექტიურ ზომებს მიჰპართა, განსაკუთრებით მას შემდგომ, როცა გარდაიცვალა სახელგანთქანი მეფე ვრცელე, ხოლო საქართველოში დინასტიური შფოთი და ამით გამოწვეული უწყესობა ჩამოვარდა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა პირი შეცვალა, დაარღვია 1783 წლის ვრცელე მეორისა და ეკატერინა მეორის შორის დადებული ხელშეკრულება და საქართველო რუსეთის უბრალო

პროვინციად გამოაცხადა. რუსეთის ბრიყულმა და უხეშმა მართებლობამ ქართველი ხალხი ერთბაშად შეურიგებელ ოპოზიციას გადატყორცნა: იტალიელი მწერალი სწორედ ამ გარემოებას მიაწერს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო სათათბიროში საქართველო უცვლელად შემარცხნენებსა და სოციალდემოკრატებს ირჩევდა, ხოლო ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ქართველი დეპუტატი მარქსისტები ღრმად განიცდიდნენ თავის ქვეყნის გასაჭირს და პატრიოტულ მოღვაწეობას არ აკლებდნენ.

ავტორი ამბობს, რომ საქართველო რუსეთის მთავრობას აძლევდა საუკეთესო ხარისხისა და მაღალი ეკალიფიკაციის ინტელიგენციას, მოხლეჩებსა და განსაკუთრებით მხედრობას: თუ დიდი ომის დროს რუსეთის ჯარი—განაგრძობს ავტორი—ასეთის წარმატებით მიექანებოდა სტამბულისაკენ და შესსლო ტრაპიზონისა და აზრუმის შემუსვრა, ეს მიწერება იმას, რომ რუსის ჯარს ქართველი მამაცი და ვაჟკაცი ოფიცრები აღაფრთოვანებდნენ და ასულდგმულებდნენ! ეხება რა ავტორი მასუკან საქართველოს გამოცალკეეებას რუსეთისაგან და დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას, როგორც ძველი საქართველოს თვითმყოფობის გაგრძობას, ის კმაყოფილებით აღნიშნავს იმ შემოქმედებით მუშაობას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დარგში, რომელსაც ქართული მთავრობა და ჯარი ეწეოდნენ. ხოლო ბოლშევიკური მოსკოვიო—შეგნიშნავს მწერალი—თავიდანვე აღმაცერათ უყურებდა დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას და მუდამ საბაბს დაეძებდა, რომ თავს დაჰსხმოდა მას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე რუსეთი ცალკე ტრაქტატით შეეკრა საქართველოს და აღიარა მისი სუვერენიტეტი.

1921 წელს თებერვალში ხანმოკლე ომის შემდგომ რუსეთის წითელმა ჯარებმა დაიპყრეს საქართველოს დედაქალაქი ტფილისი და სამშობლოდან განდევნეს მისი დამოუკიდებლობის მოციქულნი (cacciandone tutti gli apostoli d' indipendenza), საქართველოკი—ავტორის სიტყვით—არც ყოფილა ბოლშევიკური და არც შემდგომ შესჩვევია ამ სენს, მან თავისი ეროვნული ზრახვანი ყველასათვის დასანახავად გამოაშვარავა, როცა 1924 წელს შეიარაღებული აჯანყებით წინააღმდეგა ბოლშევიკური რუსეთის მტარვლობას. ეს აჯანყება—მოგვიტხრობს იტალიელი—რუსეთმა უსასტიკესი ზომებით ჩააქრო, გარნა მისი ნახმევი დღემდისაც არ დამცხრალა და ცნლაც მიუვალ მთასა და ტყეში შეხინულ უშიშარი პარტიზანები, რომელთა შორის არიან ოფიცრებიც, თავადებიც, სტუდენტებიც და ებრვე სხვა, თავგამოდებით იბრძვიან წარმომეტულ თავისუფლების მოსაპოვებლათ.

ქართველების, ამ მაღალკულტურისანი ხალხის, ეროვნული ტრადიციები—ავტორის თქმით—ისეთი ღრმადესვიანი გამოადგნენ, რომ ადგილობრივი ბოლშევიკური მთავრობა იმისდამიუხედავათ, რომ მოსკოვის მიერ არის განწესებული, მინც იძულებულია ქართული სული დაიცვას: (!) ტფილისისა და სხვა ქალაქებიც მოფენილია ქართული წარწერებით, კანცლარები და დაწესებულებები ქართულად აწარ

მოებენ საქმეს. სასწავლებლებში ქართულად სწავ-
ლობენ, როგორც ილუსტრაცია რუსული ენის გან-
დენისა, ავტორს მოჰყავს ფაქტი, რომ ტფილისის
უნივერსიტეტი თავის მიმართებებს. მაგალითად,
კიევის უნივერსიტეტთან, აწარმოებს ფრანგულად...

თავის დაკვირვებასა და ფიქრებს იტალიელი
პუბლიცისტი ამთავრებს რწმენით, რომ ასეთი გამ-
ძლე და ეროვნულად-გათვითცნობიერებული ერი
დიდხანს არ

ქ ე ნ ე ვ ა

გასულ აპრილის 17 საქართველოს დამხმარე ინ-
ტერნაციონალური კომიტეტის კრებიდიუმმა ქენე-
ვაში საქართველოს ელჩს ბ. ჩხენკელს სადილი გაუ-
მართა ნიშნით პატივისცემისა. მან მოიწვია აგრეთვე
ბ. ჩხენკელის პატივისცემლათ 20 აპრილს თვით
კომიტეტის და საზოგადოების შეერთებული წლიუ-
რი კრება. კრების გახსნისას თავმჯდომარემ ჩვენმა
მეგობარმა ე. მარტენმა ფრთხილად გრძობიერი მისა-
სალმებელი სიტყვა უთხრა საქართველოს ელჩს, რაც
დიდის ყურადღებით და თანგრძობით იქნა მოსმე-
ნილი კრებისაგან. კრებამ ასეთივე ყურადღებით და
თანაგრძობით მოისმინა ბ. ჩხენკელის მოხსენება,
რითაც საზოგადოება, როგორც ეს აღნიშნა კიდევ
შვეიცარიის პრესამ, ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

ამვე კრებამ ერთნაირად აირჩია ინტერნაციონა-
ლური კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეთ ჩვენი
მეგობარი ბ. აბელ შვეალე.

რ ა ს ს ე წ ი რ ი ნ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი ე ბ ზ ე

პარიზის კომუნისტურ კურნალში (ლა ლიუტტ
დე კლას) დაიბეჭდა რუსეთიდან მიღებული წერი-
ლი, რომელიც მეტად უნუგეშოთ ახსიათებს იქაურს
მდგომარეობას: «ყველა ხედავს, რომ საერთო ვითა-
რება კვირიდან კვირამდე უფრო და უფრო უარეს-
დება. საზოგადოების ნაკლებობაა სრული სატახტო ქა-
ლაქებში, სიმშლილობაა პროვინციებში, მრავალ სო-
ფელში. სასოფარკვეთილი გლეხობა საკუთარს ში-
ნაურ საქონელს ხოცავს თავის გამოსაკვებად. აკრძა-
ლულია მათთვის ფოსტით გამხმარი პურის (სუხა-
რის) გაგზავნა. დიდ ქალაქებში საზოგადოების სავაჭროე-
ბთან დაუსრულებელი რიგებია; საყოფნი არაფერი
მოიპოვება. განხრახულია ისედაც შემცირებული
რაციონის გადასინჯვა. მთავრობა მცხოვრებთა ერ-
თი ნაწილის გამოკვებაზე ჰფიქრობს. უმუშევართა
რიცხვი დიდია. ვითომც ადმინისტრაციულ აპარატს
სწმენდენ, მაგრამ ნამდვილად ეს თვალის ასახვევა-
დაა, მარტო დემაგოგიაა—ერთს აგდებენ, მეორეს
იღებენ... გლეხებთან შეტაკებამ, ინდუსტრიის სი-
სუსტემ, ბიუროკრატიულ აპარატის უფარვისობამ,
რომელსაც არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს რაიმე
კონკურენციას—ყველაფერმა ამან მოგვიყვანა სამხე-
დრო კომუნიზმამდე. სულ უკანასკნელი ცნობები
გვატყობინებენ, რომ ხორბლის რაიონებში უსასტი-
კეს ზომებს ღებულობენ «კულაკების» წინააღმდეგ, თუ
ამას დაუკავშირებთ მუშების შევიწროვებას (რა-

ციონალიზაციას, ხელფასის შემცირებას, ცხოვრების
გაძვირებას), მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ყველა
კლასი გაჭირვებულია და ნამდვილად ყველა მიდის
მარჯვნივს. უბრუნდება ნეპს...» ფრანგული კურნა-
ლის რედაქცია თავის მხრით დასძენს ამ წერილს:
«ოუსეთის მდგომარეობა მეტად სერიოზულია და
მოითხოვს სასწრაფო ზომებს, წინააღმდეგ შემთხვევა-
ში ქალაქის და სოფლის დაპირისპირება ააფეთქებს
საბჭოთა რესპუბლიკას. უდავოა, რომ დღეს გლეხი
ღარიბი და მდიდარი კავშირდება საბჭოთა ხელისუ-
ფლების დასამხობად».

უ კ რ ა ი ნ ე ლ თ ა შ ო რ ი ს

უკრაინის საბჭოთა მთავრობა მოითხოვს რუსე-
თისაგან, რომ უკრაინას დაუბრუნდეს სამი ათასი სუ-
რათი, ქანდაკება, ძველი ისტორიული დოკუმენტი,
წიგნი და ნივთი, რომელნიც იმპერატორების მთავ-
რობამ გაიტან უკრაინიდან და მიითვისა.

— უკრაინელი კომუნისტები პარიზში გარდა უკ-
რაინულ გაზეთისა ბეჭდავენ ორკვირეულ ფრანგ,
l'Ukraine nouvelle (ახალი უკრაინა). უკანასკნელიც
თუმცა ბოლშევიკურია, მაგრამ საგნებით გამსჭვალ-
ულია ნაციონალური მიდრეკილებით. ერთ-ერთ
უკანასკნელ ნომერში მაგალითად მოთავსებულია პა-
რტრეტი და ქება «ეროვნულ პოეტის» შვაჩენკოსი,
რუკა უკრაინელა მოსახლეობისა, რომელიც შეიცავს
გარდა ახლანდელ უკრაინის რესპუბლიკისა—მთელ
ყირიმს, ყუბანს, თერგს კასპიის ზღამდე, რუსეთის
ტერიტორიას ჩრდილო აღმოსავლეთით თითქმის
კურსკამდე და სს., დაბეჭდილ წერილების ავტორები
იცავენ უკრაინის დამოუკიდებლობას და თანასწო-
რობას რუსეთთან და რუსეთ უკრაინის ფედერაციას
ამართლებენ იმით, რომ ციმბირი დაიპყრეს ველიკო-
როსებმა და უკრაინელებმა ერთად და დღესაც საერ-
თოდ უნდა ფლობდნენ ამ უზამხარ ტერიტორიას,
მით უფრო რომ უკრაინას სჭირია თავისუფალი ად-
გილი ზედმეტი მოსახლეობის გადასახალბლათ.
«ახალი უკრაინა» მოითხოვს რუმინიის და პოლონე-
თის უკრაინულ ტერიტორიის შემოერთებას.

თ ა მ ა რ ე ბ ა ნ ა რ ბ ი ნ შ ი.

14 მაისს (პირველ მაისს ძველი სტილით) ხარბი-
ნის ქართველობამ ილდესასწაულა თამარობა. მარ-
თალია ამას ფართო ხასიათი არ ქონია და არც უცხო
საზოგადოება დასწრებია, მაგრამ თავის ეროვნულ
ილდესასწაულებს მოწყურებულ ქართველობაში დი-
დი სიხარული გამოიწვია.

მშენივრად მორთულ დარბაზში შეიკრიბენ ქარ-
თული სკოლის მოწაფეები და ადგილობრივი ქართ-
ველობა. ეროვნულ დროებში მორთულ სცენის
შუაგულში აღმართული იყო ყვავილებით შემკული
თამარ დედოფლის სურათი. დღესასწაული გაიხსნა
ჩვენი ეროვნული ჰიმნით—დიდებით, რომელიც რო-
იალზე შეასრულა ქართული სკოლის მოწაფემ პატა-
რა ლევან ხაინდრავამ. ვრცელი მოხსენება გააკეთა
თამარ დედოფლის მოღვაწეობის და საქართველოს



ოქროს ხანის შესახებ ბ. კედიამ. ქართული სკოლის მოწაფეებმა, მიუხედავად მოკლე დროის მეცადინეობისა, წაიკითხეს ქართული ლექსები, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ლიდა ხანდრავემ წაიკითხა რუსულ ენაზე საკუთარი ლექსი: «თამარ დედოფლის ხსოვნას» და ბ. ილიკო პატე. იშვილმა საზოგადოების თავმჯდომარისათვის მიძღვნილი საკუთარი ლექსი: «პირველი მისობა».

ხეიმის შემდეგ მოწაფეების დაურიგეს გუგულე სატარებლათ ვერცხლის ქეტონებს წარწერით; «ბ. ქ. ს. 1928წ.»—ხარბინის ქართული სკოლა-1928 წ.—რამაც ძლიერ გაახარა ბავშვები. დასასრულ გამგეობა გაუმასპინძლდა ჩაითა და ხილით. საღამო დასრულდა ცეკვითა და ქართული სიმღერებით.

კარგი ხნით მოდუნებული ხარბინის ქართველობის ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყო. სასურველია ასეთი საღამოები ხშირად იმართებოდეს.
დ. ბილქვაძე.

პეტლიუტაჰ პანაშვიდი ხარბინიში

კვირას, მაისის 26 ქ. ხარბინში, უკრაინელთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა მხეცურად მოკლულ თავისუფალი უკრაინის დირექტორიის თავმჯდომარის და მთავარი ატამანის სიმონ ვასილის ძე პეტლიუტას სამი წლის თავის პანაშვიდი.

პანაშვიდს დიდძალი უკრაინელობა დაესწრო. მღვდ. ტრუფანოვმა თავის სიტყვაში დაახასიათა განსვენებულ პეტლიუტას მოღვაწეობა და მისი თავდადებული ბრძოლა უკრაინის განსათავისუფლებლად. რომლის იდეასაც შეეწირა მსხვერპლად.

ხარბინის ქართველთა საზოგადოების სახელით პანაშვიდს დაესწრო გამგეობის თავმჯდომარე ბ. ხანდრავე და რამოდენიმე ქართველი, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინელებზე და მადლობა გამოუცხადეს თავმჯდომარეს უკრაინელ საზოგადოების სახელით.

† ილიკო ფიტცხალაიშვილი

სიცოცხლით სავსემ, გატაცებულმა მებრძოლმა თავისუფლებისათვის, თვითონ მოუღო ბოლო თავის მომავალს და სამუდამოთ გამოეთხოვა, რასაც ის თავიანთ სცემდა, რისთვისაც დღე და ღამე ლოცულობდა—მშობლურ კვირას—საყვარელ საქართველოს, ბოლშევიკების შემოსვლისთანავე ახალგაზნად ილიკო ჩაება არალეგალურ მუშაობაში და იშვიით ენერგიით ასრულებდა ყოველ-გვარ დავალებებს. აჯანყების შემდეგ სოფლის ავანკები თავს ეცემიან და სურთ შემუსრონ მებრძოლის გული, ვალიკო გასაოცარი სიმამაცით არღვევს გარშემორტყმულ რკალს და სცილდება მშობლების სახლს. გადამალული ის ისევ უახლოვდება ორგანიზაციას და გაათქეცებული ენერგიით განაგრძობს მუშაობას: მისი სუსტი სხეული ვერ უძლებს მალულ და მძიმე ცხოვრებას და უძლიერ დაავადმყოფებული თავს შეფარებს თავის ძმის ოჯახს; რაც შეუმჩნეველი არ დარჩა და თავს დაესხნენ შეიარაღებული ჩეკისტები; ლეგინზე მიკრული მებრძოლი ხედავს, რომ მკვლავ

ცოცხალი ვერ გადაურჩება, ამოიღებს რევოლვერს და თავის ხელით ესალმება წუთის სოფელს. ჯალათები შეცვინდებიან ოთახში და მიათრევენ მიცვალებულს სოფლის სამმართველოში, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში არავის ნებას არ აძლევენ ნახვისა და დასაფლავების. ასობით დაღუპულ ახალგაზნობას მიემატა კიდევ ერთი მსხვერპლი, რომელმაც თავის ხანმოკლე სიცოცხლე საბშობლოს თავისუფლების ბრძოლაში დალია.

ზ. ჯორბენაძე.

კამათი საქართველოს შესახებ

20 ივნისს ფობურგის კლუბში დანიშნული იყო კამათი ბ. ბარბუსის უმსგავსო წიგნის შესახებ საქართველოზე. დ. შარაშიძემ მოკლეთ გააჩრია ბოლშევიკების მიერ შედგენილი და ბარბუსის ხელმოწერილი წიგნი და საფუძვლიანი არგუმენტებისა და ფაქტების საშუალებით სრულიად გააქარწყლა ავტორის ლეგენდები ბოლშევიკების მიერ საქართველოს გაბედნიერების შესახებ და ის უტიფრული და სასაცილო ვერსია—სრულიად ახალი—რომ რუსეთი კი არ დასცემია საქართველოს, არამედ ეს უკანსკნელი თავის მრავალრიცხოვან ჯარით (148.000) შეესია რუსეთს, რომელიც იძულებული იყო თავი დაეცვა. ამ შეტაკების დროს თურმე ქართველ ხალხს მოუხდენია რევოლუცია და მოუწვევია წითელი ჯარი. მოპასუხეთ და წიგნის დასაცავათ თვით ბარბუსი არ მობრძანდა და მის მაგივრად კომუნისტებმა გამოიყვანეს ვილაც დემაგოგი კოლომერე, ანარქისტი, ახლად გაკომუნისტებული, რომელიც თურმე საქართველოშიც ყოფილა 20 დღეს (ვისი ხარჯითო— შეეკითხენ მას დარბაზიდან, მარა პასუხისთვის კოლომერმა თავი არ შეიწუხა) და მოგვასხენა, რომ საქართველოში კაი ციხეებიო, სადაც დაპატიმრებული თავისუფალი არიან და კარგ დროსაც ატარებენო. ამას გარდა მან ილაპარაკა ყველაფერზე ბარბუსის წიგნის გარდა და თავს დაესხა საფრანგეთის მთავრობას, მარკოზში ომს აწარმოებსო. მეორე «ორატორი» იყო ვილაც პარიჟანინი, ადამიანი ფრიად უგუნური და უზრდელი, რომელსაც თავი ეჭირა როგორც ცირკის მახარას. რაც აღეღვება იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. მასაც არ გახსენებია ბარბუსის წიგნის არსებობა. ქართველებზე ამცნო საზოგადოება, რომ ისინი ცარიზმის მომხრენი არიანო და წითელი ჯარი საქირთა, რომ ომი მოისპოსო. მ. ხუნდაძეს, რომელმაც ორი სიტყვით აუხსნა საზოგადოებას, რომ ბოლშევიკების აღსარების თანახმად საქართველოს დაპყრობა მათ ნავთისათვის უნდოდათო—პარიჟანინმა ხტუნვითა და აღფრთოვანებით თანხმობა განუცხადა: დიახ, ნავთი მუშისაც სჭირიაო და კარგიც უქნიათო. ყველა ამას ის ადასტურებდა კინიკურის ტონით და აღმაშფოთებელი კილოთი. ასეთი იყვნენ საქართველოს ოკუპანტების ვეჭილები პარიზში. მწერალმა ყურადღებამ—რომელიც არ იცნობს საკითხს—განაცხადა, რომ ბარბუსი კაი კაცია და რაც დასწერა, ალბათ სიმართლე იქნებაო. პოლლუი, რომელიც დღეს არც ღვთისაა და არც ეშმაკის.

რომელმაც სოციალისტური პარტია მიატოვა და კომუნისტებს მიაშურა და ესლა ისინიც უკვე მიატოვა, ბრძანა, რომ საქართველო რუსეთს რომ არ წაედო, ინგლისი წაიღებდაო და სულ ერთიაო. მისი აზრით წვრილი ერები ვინმემ უნდა შესჯამოსო და ბარემ რუსეთმა შესჯამოსო. დარბაზიდან მრავალ შეკითხვათა შორის—ერთი საკითხი დაუსვეს რუსეთის ვეჟილებს: განა პატარა ერზე დაცემა და დაპყრობა იმპერიალისტური და მილიტარისტური პოლიტიკას არ ნიშნავსო? ამაზე კოლომერი ყვიროდა, არაო, რადგან იმპერიალისტები მხოლოდ კაპიტალისტები არიანო და წითელი ჯარი მუშის კეთილდღეობისათვის იბრძვისო.

დ. შარაშიძემ უკანასკნელ, საპასუხო სიტყვაში, ადვილად აუგო წესი უხერხემლო და დემავოგ მოწინააღმდეგებს და განსაკუთრებით მკაცრათ მოეპყრა პოლ ლუის, რომელიც მას სერიოზულ ადამიანად ყავდა მიჩნეული—და შესაფერი პასუხი გასცა მის ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ განცხადებას.

თუმცა კომუნისტებს ბოლშემათ მოერეკათ მათი ჯოჯი ზურგის გასამაგრებლათ, მარა დარბაზის დიდ უმრავლესობამ, რომელიც თანდათანობით გაიმსუვალა ქართველ ერისადმი სიმპატიით, ქართველების ორატორი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა.

დაისტამბა და იყიდება

ხელღვნებმა და მკენიგებების კრებულის:

„კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“

წიგნი მეორე

შინაარსი: I ლექსები: რეა ამონი (დედა ჩემი). ვ. ბარელი (*). მ. დადიანი (დილა). რაღვი (სამშობლო). ს. ტაიფუნი (აღმოსავლეთი). ფატმან (ბარათი საქართველოდან).

II პროზა: პრ. აბულაძე: მთვარიდა. სტეფანე კასრაძე: სანაპირო ქალაქი. ვლასა მგელაძე: დღიურიდან. ლამენე: გარდახვეწილი (ფრანგულით). გუი ლე მოპასანი; დედამისი მკვლელი (ფრანგულით). რაბინ. ტავორე: სახლი და ქვეყანა (ინგლისურით).

III ვლ. ბაქრაძე: კრიტიკული შენიშვნები, «ჯაყოს ხიზნები». ვერიკო სოსანი: ძველი ქართული მწერლობა. თინათინ ჯავარიანი: ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან.

IV შალვა ამირეჯიბი: მარიამ დედოფალი.

V ედ. პაპავა: საქართველოს მოსახლეობა. კაქი: ევრაზიელობა. ა. შათირიშვილი: ერის რაობა.

VI აკ. ასათიანი: ქართული მწერლობა უცხოეთში. ბ. ვარდანი: ნავთის შესახებ ლიტერატურა და საქართველოს საკითხი.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.

მისამართი:

V. Nosadzé
3, Quartier de la Gare 3
Leuville sur Orge. (S. et O.)

წერილი რედაქციის მიმართ.

დ. პ. ბატონო რედაქტორო!

ვინაიდან ცალ-ცალკე პასუხის გაცემის საშუალებას მოკლებული ვარ, უმორჩილესათ ვთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული განეთის საშუალებით ჩემი უღრმესი და უგულთადესი მადლობა გამოუცხადო ოდენკურის ქართველთა ასოციაციას, რომელმაც ჩემი ძვირფასი ქმრის გიორგის გარდაცვალების გამო მსურველ და მწუხარებით და ნუგეშით გამსუვალული თანაგრძნობა გამომიცხა და, აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომლებმაც სამძიმრის და ნუგეშის სიტყვით მომმართვეს.

პატივისცემით პისტი დღღნტი.

შ ე მ ო ვ ი ო რ უ ლ ე ნ ა .

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

ოდენკურიდან. ალფესი ზომერიკი 50 ფრ. ოცდაათათი ფრ.: ნიკოლოზ ორაგველიძე, მირიან მელოუა, აკაკი ვადაქკორია, ვალდია დოლიძე, დათიკო ლომთათიძე, ზაქრო ალიმბარაშვილი, სერგო მათითაიშვილი, ვარდენ ჩხიკვიშვილი, თეოფილე მუხაშაურია, სვიმონ ჩიკვილაძე და გერმანე ბარამიძე. მემედ ჯინჭარაძე 25 ფრ., ვასო მარჯანიძე 20 ფრანკი. თუთხმეტ-თუთხმეტი ფრ.: გრიგოლ ცინცაძე, დავით ხელაძე, გრიშა ლომაძე და ერასტო მაჭავარიანი. ათათი ფრ.: დავით ლუღუშიძე, უშანგი ივანიძე, შალვა ჯაფარიძე, შერიფ ბერიძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე და ბადათარ მელქაძე. სულ 545 ფრანკი.

პ ა რ ი ზ ი დ ა ნ . ორმოცდაათ-ორმოცდაათი ფრ. ნ. ცინცაძე, ი. ცინცაძე, ვ. ჯაველიძე და პ. სარჯველაძე; ოცდასუთ-ოცდასუთი ფრ.: ვ. ტულუში, არ. კიკვაძე, გ. ბოლქვაძე და ვ. ინწკირველი; ოც-ოცი ფრ. ბლიაძე, ლაბაძე, მურმანიძე, მ. ბოლქვაძე და დ. მარჯანიშვილი; თუთხმეტ-თუთხმეტი ფრ.: დ. მუჯირი, დ. ყორყოლიანი, მ. ვარდოიანი, დ. ბუაჩიძე, შ. ბერიშვილი, ლ. ბალანჩივაძე, ალ. გამყრელიძე, კ. მრებრიშვილი და აკ. კვიციანიშვილი; ათ-ათი ფრ.: ნ. იმნაიშვილი, აკ. ასათიანი, ედ. პაპავა, სოსაშვილი, ვ. წულაძე, კ. შარაბიძე, მგელაძე, ს. კეკელიძე, აკ. მეფარიშვილი, ს. მენლარიშვილი, ი. ქარსელაძე, ვ. გოგუაძე, კ. ბარხოვი, მ. მგელაძე, რ. აუშტროვი, ამბ. ვადაქკორია, ვ. ახვლედიანი, შ. ქარცივაძე, კ. ჯაყელი, სურგულაძე, ს. გოგიბერიძე, დ. ფერაძე და პრ. ინწკირველი; ხუთ-ხუთი ფრ.: შ. აბდუშელი, ირ. ნადირაძე, ს. ალიმბარაშვილი, ლ. ხავთასი, დ. ლუღუშიძე, თ. ბეჭაური, ვ. თოთიბაძე, პორ. მესხუზა. სულ 780 ფრ.

ჩ ე ხ ო ს ლ ო ვ ა კ ი ი დ ა ნ . თებერვალში, მარტში, აპრილში და მაისში შეგროვილი ხუთას ოთხმოცდა ხუთი ხეხ. კრონა (585 ჩეხ. კრ.).

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.